საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 7-9 მაისი. 2021 წ. №97-98 (9216-9217) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

დავითგარეჯას საკითხი, ბოლოს და ბოლოს, სასიკეთოდ გადაწყდება!..

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აზერბაიჯანში ვიზიტის ფარგლებში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ჯეიჰუნ ბაირამოვს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი ურთიერთობის ყველა ძირითად მიმართულებას.

მინისტრებმა განიხილეს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხები და შესაბამისი კომისიის მუშაობის განახლების შესაძლებლობა, რომელიც პანდემიის გამო შეფერხდა. მინისტრებმა გამოხატეს მზაობა და სურვილი კომისიის მოკლე დროში შეკრების შესახებ.

მინისტრებმა ასევე ხაზი გაუსვეს საქართველო-აზერბაიჯანის წარმატებულ თანამშრომლობას სხვადასხვა საერთაშორისო თუ რეგიონალური ფორმატებში და ამ მხრივ ხაზი გაუხსვეს აზებაიჯანი-საქარველო-თურქეთის სამხრივვი ფორმატის ეფექტიანობას.

ეპისკოპოსი იაკობი:

მელაშვილს ქართველ ერთან გამოსაჩენი პირი არა აქვს!

შატალოდან - საბოტაჟამდე

მე ვიძინებ და ვიღვიძებ ერთი ოცნებით - საქართველო გამთლიანდეს!..

ლევან ვასაძე პოლიტიკაში მოდის!

ბიზნესმენი ლევან ვასაძე აცხადებს, რომ მიიღო გადაწყვეტილება, შევიდეს ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ლევან ვასაძემ პოლიტიკურ გეგმებზე „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

„მივიღე ჩემთვის პირად ჭრილში ძალიან მძიმე გადაწყვეტილება, რომ საბოლოოდ დავემშვიდობო ჩემთვის საყვარელ, კერძო პირის მდგომარეობას და გადავდგა ნაბიჯი, შემოვიდე და მივიღო მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. გადაწყვეტილების მიზეზად გახდა ის ფაქტი, რომ ქვეყანა შესულია პერმანენტული კრიზისის პირობებში“, — განაცხადა ლევან ვასაძემ.

მისი თქმით, საქართველო უნდა დაუბრუნდეს საპრეზიდენტო მმართველობას, ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული, ძლიერი უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტის ინსტიტუტს. ამასთან, მისივე თქმით, ახალმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ მთავარ მიზნად უნდა მიიჩნიოს ქვეყნის გამთლიანება.

„შეიძლება, ვიღაცას მიავიწყდა და აღარ მიაჩნია ის მთავარ ამოცანად, მაგრამ მე ვიძინებ და ვიღვიძებ ერთი ოცნებით, რომ საქართველო გამთლიანდეს. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მე მიმაჩნია ამ ეტაპზე ჩვენს მთავარ ქართულ ოცნებად, მთავარ ეროვნულ მოძრაობად, რაც გინდათ დაარქვით და შეხედეთ, რა უქნეს მას. საერთოდ ამოღებულია ეს პოლიტიკური დღის წესრიგიდან, ერთი მილიმეტრითაც კი არ წავწეულვართ ამ მიმართულებით. ამიტომ მიმაჩნია, რომ ახალმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ, მით უმეტეს, თუ ეს პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნება და მოახდენს გავლენას ქვეყნის მმართველობაზე და რეფორმებს გაატარებს, თავის მთავარ მიზნად უნდა მიიჩნიოს და დააყენოს საქართველოს გამთლიანება, ჩვენი დევნილების დაბრუნება აფხაზეთსა და ცხინვალში, ჯერ ეს და მერე სხვა ყველაფერი“, — განაცხადა ლევან ვასაძემ.

შეწყალება გიორგობა დღეს

სალომე ზურაბიშვილმა 8 თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული შეიწყალა, — ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის პრესსამსახური ავრცელებს.

„საქართველოს პრეზიდენტმა 8 თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული შეიწყალა, აქედან 3 მსჯავრდებული სრულად გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის შემდგომი მოხდისაგან, ხოლო 5 მსჯავრდებულს (მათ შორის, 1 ქალ მსჯავრდებულს) დარჩენილი მოსახდელი სასჯელის ვადა გაუნახევრდა.

საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების აქტი გუშინ, 2021 წლის 6 მაისს გამოსცა“, — აცხადებენ პრესსამსახურში.

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი



კავკასიელი ატლანტები

5

მშვიდობისმყოფელებმა გიორგობა ავღანეთში აღნიშნეს

გიორგობის დღესასწაული ავღანეთში, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე ქართველმა მშვიდობისმყოფელებმა ბაგრამის საავიაციო ბაზაზე, წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველოში აღნიშნეს.

სადღესასწაულო წირვა-ლოცვა ბატალიონის კაპელანმა, მამა პეტრე ხახიშვილმა აღავლინა. გიორგობის ღვთისმსახურებას III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ტარიელ მახარაშვილი და ბატალიონის პირადი შემადგენლობა დაესწრო.

საქართველოს თავდაცვის ძალების III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიას ბაგრამის საავიაციო ბაზაზე იანვრის თვიდან ასრულებს. მშვიდობისმყოფელების მთავარი ამოცანა ბაზის უსაფრთხოების დაცვაა.

ილჰამ ალიევი:

მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობას პროექტების განხორციელების უწყვეტი მხარდაჭერისთვის!

ჩვენი ძმური ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის. ეს კარგ ფუნდამენტად მიგვაჩნია ჩვენი არსებული ურთიერთობის განვითარებისთვის, რაც დინამიურობით ხასიათდება და მრავალ სფეროს მოიცავს, — ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან პირისპირ შეხვედრისას განაცხადა. როგორც ალიევმა აღნიშნა, საქართველოს და აზერბაიჯანს ერთობლივი პროექტების განხორციელების ძალიან კარგი ისტორია აკავშირებს.

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება. ძალიან გვიხარია თქვენი ნახვა. დარწმუნებული ვარ, რომ ვიზიტი ძალიან წარმატებული იქნება და ჩვენს ძმურ ურთიერთობას გააძლიერებს ჩვენს ერებს შორის არსებული ისტორიული საფუძვლიდან. ჩვენი ძმური ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის. ეს კარგ ფუნდამენტად მიგვაჩნია ჩვენი არსებული ურთიერთობის განვითარებისთვის, რაც დინამიურობით ხასიათდება და მრავალ სფეროს მოიცავს. ძალიან მოხარული ვართ, რომ გვსტუმრობთ. ჯანმრთელობას გისურვებთ. ვიცი, რომ კორონავირუსით იყავით ინფიცირებული და ვიზიტის გადაწევა მოგვიწია. მიხარია, რომ მალე გამოჯანმრთელდით. ჩვენ ერთობლივი პროექტების განხორციელების ძალიან კარგი ისტორია გვაკავშირებს, მათ შორის ენერგეტიკის და ტრანსპორტის სფეროებში. აღნიშნულმა პროექტებმა შეცვალა რეგიონში არსებული სიტუაცია პოლიტიკური, ეკონომიკური, სატრანსპორტო მიმართულებით. ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ძლიერი პარტნიორული ურთიერთობების გარეშე ამ პროექტების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. გასული წლის ბოლო დღე სამხრეთის გაზის მილსადენის პროექტის განხორციელების ბოლო დღეს დაემთხვა, რომელსაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კავკასიის, არამედ ფართო რეგიონის განვითარებისთვის, სტაბილურობისთვის, პროგნოზირებადობისა და თანამშრომლობისთვის. ჩვენი თანამშრომლობის გარეშე ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა“, — განაცხადა ილჰამ ალიევმა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილს პროექტების განხორციელების უწყვეტი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობას პროექტების განხორციელების უწყვეტი მხარდაჭერისთვის. ყველა ეს ინიციატივა წარმატებულ ამბავს წერდა ჩვენს ისტორიაში. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც ასევე გაგრძელდება. ახლახან გარკვეულ მონაცემებს გადავავლე თვალი და შევიტყვე, რომ აზერბაიჯანი საქართველოს ეკონომიკაში კვლავ უმსხვილეს ინვესტორებს შორისაა. ეს ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების დამსახურებაა, რითაც დადებითი და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი შეიქმნა. ვიცი, რომ ბევრ აზერბაიჯანულ კომპანიას სურს თქვენს ქვეყანაში მუშაობა და იმედი მაქვს, რომ ასეც მოხდება. დღეს მიმოვიხილავთ აქამდე მიღწეულ შედეგებს და სამომავლო ნაბიჯებს დავგეგმავთ. კიდევ ერთხელ მოგესალმებით აზერბაიჯანში და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ“, — დასძინა ილჰამ ალიევმა.

ირაკლი ღარიბაშვილი:

მიზანდასახული ვართ, რომ აზერბაიჯანთან ერთად მეტი პროექტი განვახორციელოთ, რაც უფრო გააძლიერებს ჩვენს ურთიერთობებს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და იგი ოფიციალური ვიზიტით საქართველოში მოიწვია.

ღარიბაშვილის თქმით, აზერბაიჯანთან ერთად მეტი პროექტის განხორციელება კიდევ უფრო გააძლიერებს ორი ქვეყნის ურთიერთობებს.

„დიდი მადლობა შეხვედრისთვის, ბატონო პრეზიდენტო. ძალიან სასიამოვნოა ბაქოში კვლავ თქვენთან შეხვედრა. მართალია, კორონავირუსით ინფიცირების გამო ვიზიტის გადადება მოგვიწია, მაგრამ გვიხარია, რომ დღეს ბაქოში ვართ. თქვენ ბრძანეთ, რომ ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს და რომ ეს ძმობა საუკუნეებს ითვლის. მინდა, გავიხსენო თქვენი მამის მიერ თბილისში ნათქვამი სიტყვები, რომ ჩვენ მეზობლობა ბედმა გვარგუნა.

ქართველი და აზერბაიჯანელი ერების მეზობლობა ჩვენი ბედია. ამდენად, ურთიერთდაკავშირებულნი და ურთიერთდამოკიდებულნი ვართ. როგორც თქვენ აღნიშნეთ, უმნიშვნელოვანესი და ისტორიული პროექტები გვაქვს განხორციელებული. ამიტომ, მიზანდასახულნი ვართ, რომ ასევე გავაგრძელოთ, მეტი პროექტი განვახორციელოთ ერთად, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს ურთიერთობებს. ამიტომ, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ბაქოში ჩვენი ოფიციალური დელეგაციის მიღებისთვის. მინდა, ვისარგებლო შესაძლებლობით და თბილისში მოგიწვიოთ თქვენთვის მოსახერხებელ დროს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან პირისპირ შეხვედრისას.

სოსოიას და

— მელია არ გამოვა საპატიმროდან, — თქვა ბეგლარამ და კეცზე დაკრული მჭადი გადააბრუნა.

მე ნაცარში ევროკავშირის დროშა დავხატე და ვთქვი, — გამოვა.

ბეგლარა ერთხანს ჩაფიქრებული უყურებდა ევროკავშირის დროშას, მერე რიცხვი 40000 დაწერა, ლარის სიმბოლო მიახატა და თქვა, — კი, გამოვა. თანაც ეცდება, ამნისტიას დაასწროს.

— რაფერაა საქმე? — ხმამაღლა იკითხა აგრაფინამ. — როდის შევლენ ნაცები პარლამენტში?

— მაისის 15-ის მერე, უპასუხა ბეგლარამ.

— უფრო ადრე არ გამოვა? — სიცილით იკითხა კესარიამ.

— რა ვქნათ, ქალებო, სულ გადავქექეთ ნაცარი, მარა უფრო ადრე არაფრით არ ხერხდება, — თქვა ბეგლარამ და იქვე ჯორკოზე ჩამოჯდა.

— ეჰ, ამ ჟუუუუურნალისტებს ჭკუა რომ ჰქონდეთ, ხუხას და იმ ეეეექსპერტების მაგივრად თქვენ უნდა გეძახდნენ გადაცემებში. ნაცარიც აქვთ და ნიგუზალიც, მარა ვინაა პატრონი. ხმამაღლა გაიცინა აგრაფინამ და ახალჩამოფქულ ყვითელ ფქვილში ხელი ამოუსვა.

წისქვილი ზრიალებდა, ხმაურობდა და ქართული პოლიტიკის თბილი სურნელით ნელ-ნელა ივსებოდა.

ალბათ გეცნოთ ნოდარ დუბაძის შესანიშნავი ნაწარმოების „მე ვხედავ მზეს“ ერთ-ერთი ნაწყვეტის მცირე ინტერპრეტაცია.

განმარტება, რაც ზუსტად მიესადაგება ქართულ მედიაში და ე.წ. ექსპერტულ წრეებში დამკვიდრებულ ნაცრის ქექვას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სოსოია და ბეგლარა ზუსტ ანალიზს აკეთებენ, ხოლო ეს „ჩვენი“ ჟუუუურნალისტები და ეეეეექსპერტები მხოლოდ ნაცარს ქექავენ.

ამ ორიოდე დღის წინ პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე აღინიშნა.

ცხადია, ხელისუფლებამ და პოლიტიკოსებმა სხვადასხვა ინტერნეტ თუ ტელე მედიით არ დაიშურეს მილოცვის სიტყვები ქართველი ჟურნალისტების მისამართით.

სამწუხაროდ, ბეჭდვური მედია როგორც ყოველთვის, ამ საზეიმო დღესაც გერის როლში აღმოჩნდა.

არამც თუ მოლოცვა, არცერთი სიტყვა არ თქმულა იმ ნამდვილი ჟურნალისტების გასახარად, ვინც მართლა თავისუფალია და ვინც მართლა საკუთარი შრომის ფასად ინარჩუნებს ნამდვილ ჟურნალისტიკას.

დიახ, ყოველგვარი მიკიბმოკიბვის გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ დღეს საქართველოში ყველაზე თავისუფალი ბეჭდვური მედიაა (თუ არ გჯერათ, დაფიქრდით და თავად მიხვდებით).

სწორედ ამიტომ პირველ რიგში ღარიბ და პოლიტიკოსებისგან (არა აქვს მნიშვნელობა ხელისუფლებაა თუ ოპოზიცია) დაუფასებელ ბეჭდვურ მედიას ვულოცავ ამ დღეს და გალაკტიონის სიტყვებს გავიმეორებ:

თქვენ გენატრებათ ლოჟა, პარტერი.
თქვენ გინდათ გახდეთ მილიარდელი.
მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს,
ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს

სამწუხაროდ, ბეჭდური მედიაც მძევალია.

არავინ იცავს და არსებითად უგულებელყოფენ მწერალ ჟურნალისტებს.

სამაგიეროდ კი ღშფოთდებიან არამზადა ვახო სანაიას მიმართ ახალგაზრდა ხალხის ბუნებრივ რეაქციაზე. შფოთავენ, „წინდებიდან ხტებიან“ და სალანძღავ სიტყვებს არ იშურებენ ამირან გამყრელიძის მისამართით. არადა, თუ ოდნავ მაინც დავფიქრდებით, არც სანაია და არც ერთი ჟუუუუურნალისტი არცერთი ექიმის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს.

სწორედ ამიტომ მინდა, ვთხოვო ჩემს კოლეგებს (კოლეგებს და არა ჟუუუურნალისტებს): ნუ გამოიყენებთ ფრაზას „ვახო სანაიაზე თავდასმა“, არა მხოლოდ მორალური პრინციპების გამო, არამედ თუნდაც იმიტომ, რომ სასამართლოს ჯერ არ დაუდგენია თავდასხმა იყო თუ პროვოკაცია.

მორიგი ნაძირლობა ჩაიდინეს ე.წ. მთავარმა არხმა და სერგო ორჯონიკიძის რეინკარნაციამ, ივერი მელაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის ბაქოში ვიზიტის წინ მათ დავითგარეჯაში მორიგი პროვოკაციის მოწყობა სცადეს.

მე ვნახე სამუშაო მასალა და პირდაპირ ვიტყვი, რომ ივერი მელაშვილი და ე.წ. მთავარი არხი (ვინმე ნინუცა კეკელია) თავს დაესხნენ დავითგარეჯას მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას.

ისინი ჯიპის მარკის ავტომობილით შეიჭრნენ რელიგიური დღესასწაულის აღსანიშნავად შეკრებილ ადამიანებში, სიტყვიერად დაუპირისპირდნენ და სცადეს პროვოკაციის მოწყობა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი შეგნების გამო ვერ მოახერხეს.

მივმართავ ხელისუფლებას და საერთაშორისო ორგანიზაციებს, კარგად შეისწავლონ ეს პროვოკაცია და შესაბამისი შეფასება მისცენ.

ეს ყველაფერი კი იმის გამო ხდება, რომ დაუსჯელობის სინდრომით გაჟღენთილი ქართული „ოპოზიციური პოლიტიკა“ მუხლჩაუხრელად იბრძვის ისეთი სიახლეების დანერგვაზე, რაც ანტიკური ბერძნული დემოკრატიიდან დაწყებული, ბოლშევიკური მეთოდებით დამთავრებული, თავშიც არავის მოსვლია.

დღეს ამ ახალი „ნარატივის“ მამამთავრად ნაცების ლიდერი ნიკანორ მელია მოგვევლინა.

მან სცადა, ერთმანეთში აეთქვიფა კრიმინალური მენტალიტეტი (ვერ დამიჭერთ, გირაოს არ გადავიხდი, ამნისტიას არ მივიღებ) და თუ ჩემს ნაცვლად რომელიმე ევროპული ინსტიტუტი გა-

ნიკა მელიამ ციხეში, წონასთან ერთად, ავტორიტეტიც დაკარგა

მართლაც საგულისყუროა, მელიას პოლიტიკური ფასი ციხიდან გამოსვლის შემდეგ რა იქნება? მას, როგორც ჩანს, საკანში ყოფნისას წონასთან ერთად პრინციპულობაც დააკლდა და პოლიტიკური ნარატივი რამდენჯერმე შეცვალა. ჯერ ამბობდა, რომ ვერ დაიჭერდნენ, შემდეგ ამტკიცებდა, რომ ამნისტიას თუ ხელისუფლება უკან გაიწვევდა, ევროკავშირის გირაოთი გარეთ გამოვიდოდა. ფაქტობრივად, მისი ადვოკატების განცხადებიდან ჩანს, რომ ის პარლამენტში ამნისტიის ინიცირების მიუხედავად, გირაოს გადახდაზე თანახმაა. მელია ბელად საკაშვილის ხუშტურებსა და რეალობას შორის არის გაჭედილი. ციხიდან გამოსვლას ცდილობს, ოღონდ ისე, რომ ნაკლები პოლიტიკური ზარალი ნახოს და სახე შეინარჩუნოს.

„ნიკა მელიას კანონდარღვევით სურდა შარავანდედის მოხვეჭა, რეალურად კი საპატიმროში აღმოჩნდა და ახლა იძულებულია, დათანხმდეს გირაოს“, — ამის შესახებ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ **ირაკლი ძადაგიშვილმა** განაცხადა და განმარტა, რომ ნიკა მელიას დაგეგმილი პროვოკაცია არ გამოუვიდა.

„მისი ყველა განცხადება ემსახურებოდა იმას, რომ გამოჩენილიყო თავისუფლებისთვის და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად. სინამდვილეში ის ტრანსფორმირდა ადამიანად, რომელმაც დაარღვია კანონი და კანონდარღვევით სურდა შარავანდედის მოხვეჭა, რეალურად კი აღმოჩნდა საპატიმროში და ახლა იძულებულია დათანხმდეს გირაოს, რადგან იცის, რომ აბსოლუტურად წამგებიანი, უპერსპექტივო, ძალიან დიდი ზიანის მომტანი აღმოჩნდა ოპოზიციისთვის მისი პატიმრობაში ყოფნა, ეს არის იმ პოლიტიკის შედეგი, რასაც ჰქვია უპრინციპობა, სახელმწიფოს და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ წასვლა და პოლიტიკური ბრძოლის მარგინალიზაცია“, — განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

ანალიტიკოსი **ლევან ნიკოლეიშვილი** ამბობს, რომ არა აქვს მნიშვნელობა უკვე მელია ციხეს დატოვებს თუ არა, მან პოლიტკური ფასი უკვე დაკარგა. თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ მისმა პატრონმა მიხეილ სააკაშვილმა ახალი რაღაც მოიფიქროს და ის ისევ ციხეში დატოვოს. მისი აზრით, მელიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა საპატიმროში მოხვედრილიყო და „გმირი“ გამხდარიყო, მაგრამ როგორც პოლიტიკოსმა, ვერც ერთი ნათქვემი ვერ გაამართლა.

„მელიას ყველა მცდელობა ფაქტობრივად ჩაიფუშა. ასევე ვერც ერთ საკითხზე პრინციპულობა ვერ გამოიჩინა. ჯერ ამბობდა, რომ პარტიის განახლებას ვაპირებო და ვნახეთ მისი ახალი სახეები, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე დღე იყვნენ აქტიურები. მერე „გმირად“ გახდომა უნდოდა და საბოლოო ჯამში, ერთი უპრინციპო კაცი აღმოჩნდა, რომელიც არა საკუთარი პოლიტიკური მიზნებით მოქმედებს, არამედ პატრონის, სააკაშვილის ხუშტურების შემსრულებელია. მელიას ციხიდან გამოსვლა უკვე აღარავის აინტერესებს, რადგანაც ენმ-ის ჩანაფიქრი არ გამართლდა. მან ჩაგრულის მანტიაც ვერ მოირგო და საკუთარ ხლართებში გაეხვა. სააკაშვილს მელია ციხეში სჭირდება, რადგან უნდა, რომ ზედაპირზე ისევ თავად იყოს. მას მხოლოდ როგორც პროპაგანდის იარაღს, ისე იყენებს. სამწუხაროდ, მელია სააკაშვილის ბადეში თავადაც აიხლართა და თავს ვეღარ აღწევს“, — აცხადებს ნიკოლეიშვილი.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** კი ფიქრობს, რომ **როგორც „ნაციოანლური მოძრაობა“, ასევე ნიკა მელიაც ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. ის, რომ ხელიუფლებამ მელიას ციხის კარი უნდა გაუღოს და გამოუშვას, სრული აბსურდია. მაშინ გამოდის, რომ სახელმწიფო საერთოდ არ არსებობს. პირს, რომელსაც ჯერ სასამართლოს მიერ მსჯავრი არ დასდებია და გარეთ გამოუშვან, ასეთი რამ დემოკრატიულ ცხოვრებაში არ არსებობს. მელიამ ყველა ის სამართლებრივი პროცედურა უნდა გაიაროს, რაც ნებისმიერმა პატიმარმა. ეს არის გირაოს გადახდა სასამართლომდე და შემდეგ ამნისტია, რომელიც ჯერ მიღებული არ არის. ეს არის ნაციონალებისგან მორიგი ბლეფი, რომელიც უნდათ, რომ კანონის ჩარჩოებში არ ჯდებოდეს“,** — ამბობს აბაშიძე.

ანალიტიკოსი **დავით ზურაბიშვილი** კი ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლოგიკა მარტივი და გასაგებია. ისინი მიხვდნენ, რომ ქუჩაში მარტო დარჩენილები ოპოზიციის გარეშე ვერაფერს გახდებიან, ამიტომაც ბრძოლის ტაქტიკას ცვლიან. ადრე თუ ნიკა მელია ციხეში აწყობდათ, ახლა მისი გარეთ გამოსვლაა საჭირო, მით უმეტეს, „ნაციონალურ მოძრაობას“ მელია თბილისის მერობის საერთო ოპოზიციურ კანდიდატად სჭირდება. ზურაბიშვილი დარწმუნებულია, რომ ენმ პარლამენტში შევა და ახალ ტაქტიკით ბრძოლას იქ გააგრძელებს. ამ 6-თვიანი ბოიკოტით ენმ არ დაზიანებულა და ყველაზე დიდი ზიანი მხოლოდ მცირე პარტიებმა მიიღეს, ამიტომაც ისინი თავიანთი დღის წესრიგით მოქმედებენ და ეს გასაკვირი არ არის.

„ნიკა მელია ციხიდან ნებისმიერ შემთხვევაში გამოვა. გირაოთი თუ არა ამნისტიით მაინც. რაც შეეხება ამნისტიას, ეს არ ყოფილა „ქართული ოცნების“ ინიციატივა. ეს იყო ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის ინიციატივა იმისთვის, რომ ეს დაპირისპირება დასრულებულიყო. ეს არის მათი წინადადება და ჩემთვის გაუგებარია, ამნისტიის წინააღმდეგი რატომ შეიძლება იყვნენ. საქმეების 80% მომიტინგეებს ეხება და ვერ ვიგებ, რის წინააღმდეგ გამოდიან.

20 ივნისის საქმე გამოსაძიებელია და ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვა მუხლებით ამ საქმეზე ამნისტიის შემდეგ კონკრეტულ დამნაშავეებს ბრალს ვერ წაუყენებენ. რა თქმა უნდა, „ნაციოანლურ მოძრაობა“ მარტო ქუჩაში დარჩენას პარალმენტში შესვლას ამჯობინებს. არ გამოვრიცხავ, რომ უკვე იქ ოპოზიციის შემოკრებას შეეცადოს. სააკაშვილმა თქვა კიდეც, რომ ენმ-ის ბრძოლის ველი პარლამენტი უნდა გახდეს. ასევე ეცდებიან, რომ მელია ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ამის მცდელობა ექნებათ“, — ამბობს ზურაბიშვილი.

ლიკა ბერიკაშვილი

ბეგლარას პოლიტიკა

დაიხდის, მაშინ საპატიმროს დავტოვებ.

იმის კვლევა, თუ რა „ღრმა პოლიტიკური გათვლებია“ ამ ქმედებაში, არ ღირს, რადგანაც ყველაფერი ძალიან მარტივია.

მას სურს, ევროპის მასშტაბით გაითქვას სახელი და მწირი რაოდენობის მომხრეებში ჩამოყალიბდეს როგორც გმირი.

პროცესების მიმდინარეობის ლოგიკური შედეგი კი იქნება ის, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, უღალატებს თავის რიხიან დაპირებას და პარლამენტში შევა.

შევა და ჯამაგირს უკვე „სუფთა სინდისით“ აიღებს.

აი ეს არის მთელი ამ ქიჩმაჩის ანატომია.

სამწუხაროდ, ხელისუფლება მორჩილად უსმენს მათს პოხონდრიებს, მორჩილად ურეკავს მათს ჟუუუურნალისტებს და დარწმუნებული ვარ ბოდიშებსაც უხდის ზოგიერთი ხისტი განცხადების გამო.

ხალხის აზრს, კი სამწუხაროდ, არავინ აქცევს ყურადღებას.

იმ ხალხის აზრს, რომელიც პანდემიითა და ამ ბაკქანალიით საკმაოდ სერიოზულ ფსიქოლოგიურ სტრესშია.

გთავაზობთ შესანიშნავი პროდიუსერის ნატო დუმბაძის მცირე მოსაზრებას, რომელიც მან სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა და რომელსაც, დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება:

— მოკლედ ახლა დავწერ ჩემს აზრს, რომელსაც აი ამ წუთას გამოვთქვამდი ასეთი კრიზისის და პანდემიის ფონზე! მართალია, ყველაფერს ვერ ჩამოვწერ, ჩემზე ბევრად კარგი იდეები დაწერილა, ძალიან მომწონს თქვენი ხედვა და მადლობა ამისთვის. ბევრი კარგი აზრი ამოვიკითხე, რაც ქვეყანას წაადგება!

ცნობისთვის განვმარტავ, რომ ეს მოსაზრებები არანაირად არ არის პოლიტიკა და არც სურვილი მაქვს იქ ყოფნის!

1. როცა ქვეყანა ასეთ ეკონომიურ და პანდემიურ კრიზისშია, ყველა ჩინოვნიკს სახელმწიფო დაცვას და სახელმწიფო ავტომობილს ჩამოვართმევდი! იარონ ფეხით ან საკუთარი ავტომობილებით და საწვავიც ჩაასხან თავიანთი ხელფასით! გამოთავისუფლებულ თანხებს კი სოციალურად დაუცველებს გადავუნაწილებდი!

2. დავავალდებულებდი აფთიაქის მესვეურებს პირბადე უფასოდ გაეცათ! ეს იგივეა ომში ბუნკერში ჩასასვლელად ფულს გახდევინებდნენ! შესაბამისად წამლის ფასებს დავარეგულირებდი!

3. შევქმნიდი ფონდს, სადაც მთავრობასთან ერთად ხალხიც გაერთიანდებოდა და დავარქმევდი მთავრობის და ერის ფონდს, რომელსაც უხელმძღვანელებდა ჯანდაცვის კომიტეტი და რომელიც მოხმარდებოდა გადაუდებელი მკურნალობისთვის ან ოპერაციისთვის ბავშვებს!

4. დღეს ტურიზმზე არ დავხარჯავდი ფულს. ტურიზმი ამ პანდემიის დროს არ არის პოპულარული. ამიტომ სოფლის მეურნეობას ავაღორძინებდი! სააავადმყოფოებს, რეანომობილებს შევუძენდი!გლეხზე, მიწაზე, სარწყავზე დავხარჯავდი! სოფლის კულტურულ ცენტრებს ავაშენებდი, აშენებულს გავარემონტებდი!

5. გავზრდიდი პენსიას შეძლებისდაგვარად!

6. ყველა მედპერსონალს გავუზრდიდი ხელფასებს! ოჯახის ექიმიდან დაწყებული ექთანით, სასწრაფოთი და ა.შ!

7. ყველა დამსაქმებელი, სახელმწიფო იქნება თუ კერძო, ვინც აიძულებს პერსონალს, თანამშრომელს, მასწავლებელს დ. ა.შ ვაქცინაციას და ამის გამო გაუშვებს სამსახურიდან, აუცილებლად დავსჯიდი! რადგან ისედაც გაჭირვებულ ხალხს გავუფრთხილდეთ და არ დარჩნენ უსამსახუროდ!

8.სპეციალურ სამსახურს შევქმნიდი, რომელუც გააკონტროლებდა პროდუქტებზე ფასების მატებას!

9. კომენდანტის საათს გადავწევდი 23:00

10. ის პარლამენტარები რომელიც არ იაქტიურებდნენ ქვეყნის სასიკეთოდ და მხოლოდ რაოდენობისთვის სხედან დავაკლებდი ხელფას, ეს იმიტომ რომ იქიდან მხოლიდ 10 კაცი ვიცით, ვინც რამეს აკეთებს!დანარჩენი რატომ არიან არ ვიცით!

11. აუცილებლად ვივლიდი ყველა დებატზე, აუცილებლად გავცემდი ყველა მწვავე კითხვას პასუხს და ყველას მოუწოდებდი ასე მოიქცეს! კითხვები, ხალხი ირჩევს და ვალდებულება აქვთ, რაც დაგროვდა, არ დარჩეს უპასუხოდ!

12. იმ ასაკის ხალხს, რომელიც ჯერ არ არის საპენსიო ასაკში და არც სამსახური აქვს, ვინაიდან არ არის სამუშაო ადგილები, ყოველთვიურ დახმარებას დავუნიშნავდი!

13. განათლება რომ მისახედია და უკონკურენტოდ მისახედი, ესეც აუცილებლად!

14. რაც შეეხება ბანკებს მკაცრად მოვითხოვდი პროცენტების დაწევას, პანდემიიდან გამომდინარე!

და ბოლოს თვეში ერთხელ შევხვდებიდი უბრალოდ მოსახლეობას და არა მოწვეულ და გადარჩეულ ხალხს, ხალხთან მექნებოდა კავშირი მეტ წილად ყველა სფეროდან, პენსიონერიდან დაწყებული აბიტურიენტით დამთავრებული!

ხალხს რომ უსმინონ, რა კარგი იქნება! ხალხი ბრძენიაო, ბრძენი და ყური გვინდა, და ერთად მართლა მთებს დავძრავდით !

და სულ, ბოლოს, არც ევროპის დახმარებას მივიღებდი, არც ამერიკისას და არც არავის დაკრულზე გავივლიდი!

სრულად ვეთანხმები ამ მართლაც გულიდან ამოსულ სიტყვებს და ჩემი მხრიდან კი მეოთხე პუნქტთან მიმართებაში დავამატებდი: რუსეთმა წიწიბურას ექსპორტი აკრძალა. საქართველო თითქმის 100%-ით რუსულ წიწიბურას მოიხმარს და კარგად მოგეხსენებათ, თუ რა მოთხოვნა აქვს ამ სურსათს ასაკიან და არა მარტო ასაკიან ადამიანებში. ეკონომიკის მინისტრი კი დღეს მსჯელობს ამაზე და რაღაც გზებს ეძებს, როცა ინფორმაცია ამდენი წელია არის და არავინ ყურსაც არ აბარტყუნებს.



წერილის ბოლოს ისევ და ისევ მინდა, მივმართო ხელისუფლებას — ხომ ხედავთ რომ ამ ოპოების, ჟუუურნალისტების და ათასი ჯურის ვიგინდარას მოსმენას და მათ დაკრულზე ცეკვას არანაირი შედეგი არ მოქვს. მოუსმინეთ ხალხს. მოუსმინეთ თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში არჩევნებზე ფასილიტატორები და შარლ მიშელი კი არა, ხალხი დადის.

გია გაბრიჭიძე

შატალოდან – საბოტაჟამდე

მოკლედ, არ გამოელიათ შარლ მიშელის დოკუმენტით გაწბილებულ ოპოზიციონერებს სააღდგომო ჭინთვებისთვის საბაბი. მართლაც, გაგეცინება კაცს, როცა ნახევარწლიანი შატალოს შემდეგ საბოტაჟნიკებად ჩამოყალიბებულნი დაიჩივლებენ: რატომ გამოაცხადეს საპარლამენტო არდადეგები, რატომ აკრძალეს მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა, რატომ ჩააგდეს ვაქცინაციის პროცესი და, ბოლოს და ბოლოს, რატომ აჭიანურებენ ციხიდან პოლიტპატიმარ ნიკანორ მელიას გამოშვებასო, – რას აღარ მიედმოედებიან ეს უტიფრობის მოციქულნი.

ის კი არა, უკრაინაში გადახვეწილი პატრონის საამებლად, რომელმაც რეინკარნაციის მიზნით სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოც კი შეაწუხა, აქაოდა დეპუტატ გელაშვილის გახმაურებული ცემის საქმეზე უსაფუძვლოდ მდევნიანო, ეგრეთ წოდებულმა სამოქალაქო აქტივისტებმა სასაფლაოებზე გასვლის რამდენიმედღიანი შეჩერებაც „დააიგნორეს“ (მათივე ტერმინია) და დედაქალაქის მსგავსად, სადაც თვით მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე შეღწევის ცდილობა ჩაეფუშათ, საპროტესტო ფრონტი რეგიონებშიც გახსნეს, მაგრამ პოლიცია ყველგან შეუვალი იყო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კანონი კანონია თბილისშიც, ბათუმშიც, ქუთაისშიც, თანაც – განურჩევლად თარიღისა თუ მოვლენის მნიშვნელობისა.

მეორე მხრივ, შეგვიძლია გავუგოთ ხელმოცარულ მეამბოხეებს – დრო ხომ მათ წინააღმდეგ მუშაობს. დიახ, რიხით დაანონსებულ 15 მაისის „გრანდიოზულ მანიფესტაციამდე“, რომელიც აზვირთებული რუსთაველის გამზირით უნდა დაგვირგვინებულიყო, თითქმის აღარაფერი დარჩა, საორგანიზაციო ჯგუფიდაენ კი ჩამიჩუმი არ ისმის.

ასევე კრახი განიცადა ბუტაფორიულად ქცეულ პარტიათა ლიდერების ხალხში გასვლის კამპანიამ – გსმენიათ რამე რომელიმე ქალაქსა თუ სოფელში მარადმწვანე ტელეაგიტატორთა მგზნებარე ორატორულ შედევრებზე, პროცესის სტარტზე რამდენიმე პროპაგანდისტული გაფხაკუნების შემდეგ?

მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნების წინ ხომ საერთოდ საპანაშვიდედ აქვთ საქმე მიშას ძალად მაცხონე შვილობილებსა და გერებს – ცოტაც და ქვეყნის ასარევად მკვდარი ზაფხული შემოაბიჯებს, რომელსაც ხავერდოვან სეზონად წოდებული პასიური სექტემბერი მოჰყვება და ფაააფუ – როდისღა უნდა გამოურეცხონ ტვინები ხმებზე მონადირე, წაგების ფორმულასთან ასოცირებულმა შალიკოს ფანჩატურის ბინადრებმა „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებულ ან ჯერაც ნეიტრალურ თანამემამულეებს, მშვიდობიანად რომ მიაღწიონ მათთვის ასევე საძულველი ხელისუფლების შეცვლას?

ჰოდა, რადგან ასეთ ცაიტნოტში არიან და რიონის ხეობაშიც ჩაწყნარდა ნამახვანჰესთან დაკავშირებული ვნებათაღელვა, „გლავკანალმა“ სარბიელზე მაშველ რგოლს – ივერი მელაშვილს უხმო და თავის გადამღებ ჯგუფთან ერთად „შაბათის მთავრისთვის“ ინტერვიუს ჩასაწერად მაინცდამაინც ცხელ წერტილში – დავითგარეჯაში მიავლინა დაცვის გარეშე მაშინ, როცა რეაქციული არხის ოდიოზურ თავკაც წკვარამიას ცოცხალ კედლად ბაკლანივით ამბალები ჰყავს აფარებული.

„სატოპკე“ აუწიესო, სწორედ ასეთ შემთხვევაზე იტყვიან. არცაა გასაკვირი, იქაურებმა ემოციები რომ ვერ მოთოკეს, თუმცა, სტუმრები იძულებულნი გახდნენ, ელიარებინათ, ბატონ კარტოგრაფს, უფრო სწორედ – ნაცმოგრაფს მხოლოდ მოღალატეს ეძახდნენ და ფიზიკურად არ გასწორებიანო. გეკითხებით, ღირს კი ხიფათისაგან თავის ასეთ არიდებად საზოგადოებაში კურდღელივით შიშნარევი გამოჩენა? თავმოყვარე კაცის პასუხი ძნელი გამოსაცნობი არაა, მაგრამ დესტრუქციის აპოლოგეტები და ღირსება, დაგვეთანხმებით, შეუთავსებელი მცნებებია.

ასეთივე შეფასებას იმსახურებს შარშანდელი ოქტომბრის ყბადაღებული არჩევნების წინ „ნაციონალურ მოძრაობაში“ შეკედლებული ჩვენი სახელოვანი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე, რომელსაც ხელშეკრულების ვადა გაუვიდა და კახი კალაძემ კონტრაქტი აღარ გაუგრძელა. ვფიქრობთ, გასათვალისწინებელი მაგალითია სხვა ცნობადი სახეებისთვისაც.

დაბოლოს, ვისთვის საანეკდოტე და ვისთვის განსაკუთრებით სათუთი თემა – „ენმ“-ის თავმჯდომარის თვითნებური მარტვილობა, რომელიც წინდებივით ლამის ყოველდღიურად იცვლის პოზიციას და ხან გირაოს უარყოფს, ხანაც ამნისტიას და კენჭს მმართველი ძალის ბოსტანში შესანატრი სტაბილურობით ისვრის – ჩემი „სვაბოდაზე“ გასვლის გასაღები ოლიგარქისგან მართული პროკურატურისა და სასამართლოს ხელშიაო.

რასაკვირველია, ტუსაღის, მით უმეტეს ახალგაზრდა კაცის ბედზე შაყირი მკრეხელურად გამოიყურება, მაგრამ როცა თვითონ განაპირობებს ტრაგიკომიკური ჟანრის სიუჟეტის განვითარებას, ძნელია მიმდინარე შოუზე მთლად სერიოზულად იმსჯელო.

რადგან რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულების დაწესებულების საკანი №224 „პრახადნოი დვორადაა“ გადაქცეული და იქ ვინ აღარ შედის თავისუფლების იდეალებისთვის ტანჯული „ანზორიჩის“ გასამხნევებლად, თავს უფლებას მივცემ და მის გულდათუთქულ ქომაგებს მოკრძალებული თხოვნით მივმართავ: ან რომელიმე მიუჯექით სოლიდარობის ნიშნად, ან ცოტნე დადიანის მსგავსად მოიქეცით და ჩაენაცვლეთ, ანაც, ვინაიდან საკითხის განხილვამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლა, განხეთქილების ვაშლად მიჩნეული დოკუმენტი პირდაპირ სანატორიუმის სადარ ცხრაკლიტულში შეუტანეთ ხელმოსაწერად, რათა წერტილი დაესვას მომაბეზრებელ სპეკულაციებს – აქაოდა წამყვანი ოპოზიციური პარტიის მესაჭე პირადად უნდა მონაწილეობდეს სადავო საკითხის გადაჭრაში და შეთანხმებულ საბუთს სწორედ მისი ფაქსიმილე უნდა ამშვენებდესო.

ასეა თუ ისე, აღდგომა და გიორგობა ისე გავაცილეთ, საცირკო წარმოდგენები არ გველევა და, ალბათ, კიდევ დიდხანს ვიხალისებთ – წინ ხომ ცხელი ზაფხულია!

გია პლატონიშვილი

ანდრია ჯაღმაიძე: ივერი მელაშვილის ჩასვლა იმ ადგილზე, სადაც სავარაუდო დანაშაული აქვს ჩადენილი, პროვოკაციად აღიქმება

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე დავით გარეჯის ტერიტორიაზე ინციდენტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ეს არ არის ის საკითხი, რომლის შესახებაც სინოდის სხდომაზე უნდა იმსჯელონ.

მისივე თქმით, დავით გარეჯთან მომხდარი ინციდენტი უსიამოვნო სანახავი იყო, თუმცა აღნიშნულ ფაქტს ორი მხარე აქვს.

კერძოდ, ჯაღმაიძის შეფასებით, სასულიერო პირი საეკლესიო ქცევის ნორმებში უნდა დარჩეს, მიუხედავად გარემოებისა, რომელსაც ამ შემთხვევაში პროვოკაციულად აფასებს.

„ივერი მელაშვილი არის ბრალდებული, გამოსული გირაოთი და სავარაუდოდ, იმ პირობით, რომ არ ექნება მცდელობა მოწმეებზე ზეგავლენისა, ამიტომ მისი ჩასვლა იმ ადგილას, სადაც სავარაუდო დანაშაული აქვს ჩადენილი, ერთმნიშვნელოვნად აღიქმება როგორც პროვოკაცია, ამიტომ ეს ორი მხარე აქვს გუშინწინდელ ინციდენტს“, – განაცხადა ანდრია ჯაღმაიძემ. რაც შეეხება კითხვას, ვის მიმართ შეიძლება მოეხდინა ზეგავლენა ივერი მელაშვილს, ჯაღმაიძე პასუხობს, რომ დავით გარეჯში მცხოვრები ბერები მოწმეები არიან.

„მაინც და მაინც იმ დღეს, როდესაც არის ხალხმრავლობა, როდესაც დღესასწაულია, დავით გარეჯის იმ ბერების ხსენების დღეა, რომლებიც ცხოვრობდნენ საკნებში, სადაც ვეღარ გადავდივართ იმის გამო, რომ კომისიამ ხელი მოაწერა თხემზე საზღვრის გავლებას და ამაში ედება მას ბრალი, ვფიქრობ, რომ ამ სიტუაციაში იქ ჩასვლა არის ჩვეულებრივი პროვოკაცია. მე მგონია, ასეთი აზრი არსებობს, რომ შეიძლება, თავად ივერი მელაშვილი არც გეგმავდა იქ ჩასვლას, ეს არის „მთავარი არხის“ დაგეგმილი. ალბათ, მამები შეინანებენ, რადგან ეს ცალსახად არის საეკლესიო ქცევებიდან გადაცდენა“, – განაცხადა ანდრია ჯაღმაიძემ და დასძინა, რომ ჯერჯერობით გაფრთხილება არ ყოფილა.

მელაშვილს ქართველ ერთან გამოსაჩენი პირი არა აქვს!

ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი ივერი მელაშვილსა და „მთავარი არხის“ გადამღებ ჯგუფზე თავდასხმას ეხმიანება და ვარაუდობს, რომ ეს მელაშვილის მხრიდან შეგნებული პროვოკაცია იყო.

„რა ვიცით, რომ ეს ივერის მხრიდან შეგნებული პროვოკაცია არ იყო. არ ვიტყვი ისეთ რამეს, რაზეც პასუხისმგებელი ღმერთთანაც არ ვიქნები. ივერის რომ დაინახავ შევადარებდი კორიდას, ხართან რომ გადიან. ივერი არის მატადორი. ჟურნალისტები გამოდიხართ უბრალოდ, რა, რომ ესვრიან ხოლმე, ლაფარს რომ არჭობენ, კლავთ ხარს, ხო? ის ხარი გირქენს მერე, წაგაქცევს. მერე მიაქვთ და აჭმევენ ადამიანებს. როცა მიდიხარ, პირნათელი ხომ უნდა იყო?“, – ამბობს ეპისკოპოსი.

როგორც მეუფე აღნიშნავს, ივერი მელაშვილი სხვა დროს რომ დაეკავებინათ, არავის გაახსენდებოდა.

„ცუდი რა არის იცით, ისეთ პერიოდში დაიჭირეს, სალაპარაკო გაუხდა ხალხს, თორემ მოეკიდათ მანამდე, ვის გაახსენდებოდა? უვარგისი ადამიანია და არ უნდა ჩადიოდეს, დაეტიოს. მაგას შეუძლია ოპოზიციურ პარტიებში იაროს, ტაშს ვინც უკრავდა. ქართველ ერთან გამოსასვლელი ცხვირ-პირი მაგას არა აქვს. ახლა როგორც გინდათ ისე შეაფასეთ და ვისაც უნდა ისე შეაფასოს. ჩემი ერის მტრებს ჩვენ სხვანაირად ვეპყრობით“, – ამბობს მეუფე იაკობი.

სააკაშვილი ქოსატყუილა კაცია...

„მოქალაქეების“ ლიდერი ალეკო ელისაშვილი დავით გარეჯთან დაკავშირებით ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ეხმაურება.

„სააკაშვილი ერთი ქოსატყუილა კაცია. დღეს ამას იძახის, ხვალ იმას იძახის. დღეს ნამახვანის აშენებას ებრძვის და ბუნება უნდა გადავარჩინოო. გუშინ სხვას ამბობდა. ქოსატყუილაა და მაგის ნათქვამზე სერიოზულად ლაპარაკს არც ვაპირებ“, – განაცხადა ელისაშვილმა.

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, უკრაინის რეფორმების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სააკაშვილმა „მთავარ არხთან“ დავით გარეჯის საკითხზე ისაუბრა.

„მზად ვიყავით, უარი გვეთქვა ზოგიერთ სტრატეგიულ სიმაღლეზე, ერთი წელი რომ დაგვცლოდა, გარეჯი იქნებოდა მთლიანად დაკანონებული, როგორც საქართველოს ნაწილი“, – განაცხადა სააკაშვილმა.

„პირადად მე, ახალგაზრდობის წლებიდან მოყოლებული, საქართველოს და ქართველი ხალხის მიმართ ღრმა პატივისცემის გრძნობით ვიყავი განწყობილი და წარსულში ვცდილობდი, დღესაც ვცდილობ და მომავალშიც ვეცდები ეს გრძნობები განვახორციელო. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მიმართ გაწეული ყურადღება და ზრუნვა ჩვენი მეგობრობის ერთ-ერთი მშვენიერი მაგალითია“...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომის გადაცემის ცერემონიაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის გამოსვლა.

1996 წლის 9 მარტი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

წელს, 10 მაისს, აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტისა და საზოგადო მოღვაწის, ჰეიდარ ალიევის დაბადებიდან 98 წელი სრულდება... ყველა, ვინც საქართველოსა და აზერბაიჯანის უახლეს ისტორიაში ერკვევა, ერთხმად აღიარებს, რომ ჰეიდარ ალიევმა, საფუძველი მხოლოდ აზერბაიჯანისა და საქართველოს კი არა, მთელი ამიერკავკასიის თანამედროვეობას ჩაუყარა. ყოველ შემთხვევაში, ის ენერგეტიკული დერეფანი, რომელიც ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენითა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენითაა ცნობილი, სწორედ ალიევის დამსახურებაა.

ჰეიდარ ალირზა ოღლი ალიევი დაიბადა 1923 წლის 10 მაისს აზერბაიჯანის ქალაქ ნახჭევანში.

1939 წელს ნახჭევანის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრებისთანავე მან აზერბაიჯანის ინდუსტრიული ინსტიტუტის არქიტექტურულ ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა (ამჯამად აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის აკადემია). დაწყებულმა ომმა მას განათლების ბოლომდე მიღებაში ხელი შეუშალა.

1941 წლიდან ჰეიდარ ალიევი ნახჭევანის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში და ნახჭევანის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოში მუშაობდა განყოფილების გამგედ, 1944 წელს კი სამუშაოდ გაგზავნილ იქნა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. ამ პერიოდიდან დაწყებული ჰეიდარ ალიევს, მუშაობდა რა უშიშროების ორგანოების სისტემაში, 1964 წლიდან თავჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა, 1967 წლიდან კი — აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავჯდომარე იყო. მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. ამ წლებში მან ლენინგრადში (ამჯამად სანკტ-პეტერბურგი) სპეციალური უმაღლესი განათლება მიიღო, 1957 წელს კი აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა.

1969 წლის ივლისში ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად იყო არჩეული და რესპუბლიკის ხელმძღვანელი გახდა. 1982 წლის დეკემბერში ჰეიდარ ალიევი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად, დაინიშნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე და გახდა სსრკ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ჰეიდარ ალიევი ოცი წლის განმავლობაში იყო სსრკ უზენაესი საბჭოს დეპუტატი და 5 წლის მანძილზე სსრკ უზენაესი საბჭოს თავჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

1987 წლის ოქტომბერში ჰეიდარ ალიევი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად გენერალური მდივნის მიხეილ გარბაჩოვის მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ პროტესტის ნიშნად დაკავებული თანამდებობებიდან გადადგა.

საბჭოთა ჯარების მიერ 1990 წლის 20 იანვარს ბაქოში მოწყობილ სისხლიან ტრაგედიასთან დაკავშირებით, მის მეორე დღეს მოსკოვში აზერბაიჯანის წარმომადგენლობაში განცხადებით გამოსულმა ჰეიდარ ალიევმა მოითხოვა აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შემსრულებლების და ორგანიზატორების დასჯა. 1991 წლის ივლისში მთიან ყარაბახში მომხდარ მწვავე კონფლიქტთან დაკავშირებით მან სსრკ ხელმძღვანელობის ორპირული პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად მიატოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგები.

1990 წლის ივლისში აზერბაიჯანში დაბრუნებული ჰეიდარ ალიევი ჯერ ბაქოში, შემდგომ კი ნახჭევანში ცხოვრობდა ამავე წელს იგი არჩეულ იქნა აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. 1991-1993 წლებში მას ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი მეჯლისის თავჯდომარის, ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავჯდომარის მოადგილის თანამდებობები ეკავა. 1992 წელს ქალაქ ნახჭევანში პარტია „იენი აზერბაიჯანის“ დამაარსებელ ყრილობაზე ჰ ეიდარ ალიევი პარტიის თავჯდომარედ იყო არჩეული.

როდესაც 1993 წლის მაის-ივნისში სახელმწიფო კრიზისის უკიდურესად გამწვავების შედეგად ქვეყანაში სამოქალაქო ომის და დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროება გაჩნდა, აზერბაიჯანელი ხალხი ჰეიდარ ალიევის ხელისუფლების სათავეში მოსვლის მოთხოვნით გამოვიდა.

აზერბაიჯანის მაშინდელი მმართველები იძულებულნი გახდნენ ოფიციალურად მიეწვიათ ჰეიდარ ალიევი ბაქოში. 1993 წლის 15 ივნისს ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ იყო არჩეული, 24 ივლისს კი მილი მეჯლისის გადაწყვეტილებით მან აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელება დაიწყო. 1993 წლის 3 ოქტომბერს საერთო სახალხო არჩევნების შედეგად ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს.1998 წლის 11 ოქტომბერს, მაღალი სახალხო აქტივობის პირობებში ჩატარებულ არჩევნებზე იგი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს.

ჰეიდარ ალიევს მიენიჭა საერთაშორისო პრემიების მთელი რიგი, სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტების საპატიო დოქტორის და სხვა მაღალი საპატიო წოდებები. იგი ოთხჯერ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მრავალი მედლით, ორჯერ მიიღო სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოვდა საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის ორდენებითა და მედლებით.

აზერბაიჯანის ისტორიული ბედი, რომელიც მოიცავს ბოლო 30 წელზე უფრო ხანგრძლივ პერიოდს, უწყვეტად არის დაკავშირებული ჰეიდარ ალიევის სახელთან. ამ წლების განმავლობაში ხალხის აღორძინება საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში დაკავშირებულია სწორედ მის სახელთან.

თავისი მმართველობის აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჰეიდარ ალიევი დაეხმარა მშობლიურ კუთხეს — აზერბაიჯანს,როგორც სახელმწიფოს, რომლის პროგრესისკენ იგი ყოველთვის მიისწრაფოდა, რომლის მდიდარი კულტურით, დიდი ისტორიული წარსულით იგი ყოველთვის ამაყობდა და რომლის მომავალ თაობებზე წუხდა, გადაელახა დროის მძიმე და მკაცრი გამოცდა.

წარმოადგენდა რა გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს და ხალხის უდავო ლიდერს, ჯერ კიდევ სიცოცხლეში იგი ცოცხალ ლეგენდად იქცა. ამიტომ ჰეიდარ ალიევის ფენომენი ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას. მთელი მსოფლიოს აზერბაიჯანელთა ამ საერთო ეროვნული ლიდერის მშფოთვარე პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელიც აღტაცებას იწვევდა, ფართოდ შუქდებოდა როგორც რესპუბლიკურ, ასევე მსოფლიო ბეჭდვით ორგანოებში.

1993 წლის ივნისში, როდესაც აზერბაიჯანელი ხალხი დარწმუნდა, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა დაშლის მუქარის წინაშე დგას და როდესაც ყველაზე მძიმე დღეები დადგა, თავისი ხალხის ტანჯვის შემხედვარე ჰეიდარ ალიევმა მიიღო ხალხის დაჟინებული მიწვევა და დაუბრუნდა დიდ პოლიტიკას აზერბაიჯანში. ხალხი ჰეიდარ ალიევის დაბრუნებას იმედით და სიხარულით შეხვდა და ეს დღე დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ისტორიაში შევიდა, როგორც ეროვნული ხსნის დღე.

44-დღიანი სამამულო ომი, რომელიც 2020 წლის 27 სექტემბრიდან 10 ნოემბრამდე მიმდინარეობდა, აზერბაიჯანის ისტორიული გამარჯვებით დაგვირგვინდა და აღდგა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა! ეს ისტორიული გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, უმაღლესი მთავარსარდლის, ილჰამ ალიევის მტკიცე ნებისყოფისა და უძლეველი აზერბაიჯანული არმიის სიმამაცით იქნა მიღწეული ბრძოლის ველზე.

დღეს აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების შექმნის ისტორია, რომელმაც უკვე ბრწყინვალე კვალი შეიტანა თანამედროვე მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებაში, მჭიდროდაა დაკავშირებული დაუვიწყარი ჰეიდარ ალიევის სახელთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ დიდმა პიროვნებამ სიცოცხლე მიუძღვნა თავისი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ნადირ ნადიროვი,
ყაზახეთის რესპუბლიკის მარდან საფარბაევის სახელობის ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტი



ო, ენავ ჩვენო, დედაო ენავ!

ანუ, ცრუსაქმიანობა მკვდარ-შობილი დეპარტამენტისა...

კიდევ ერთი არსებითი პირობა დაირღვა სახელმწიფო ენის კანონისა და შესაბამისი სტრუქტურის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის: კანონის აღსრულება ორი სტრუქტურის – დეპარტამენტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის – ტანდემს უნდა დაჰფუძნებოდა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ეს პოზიცია ისტორიულ კანონზომიერებად ჩამოყალიბდა და არა – მიკერძოებულ უპირატესობად, როგორც იმ დროს ზოგიერთმა მოახერხა ამ საკითხის წარმოჩენა. კერძოდ, კოორდინაციის ეს გამოცდილება ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც 1953 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა „სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“ და მისი საბაზო კვლევითი დაწესებულების ფუნქცია ენათმეცნიერების ინსტიტუტს მიენიჭა, მეტიც, მომდევნო წლიდან ამ ინსტიტუტში შეიქმნა სპეციალური (ჯერ – სალიტერატურო ენის ნორმების, შემდეგ კი – ქართული მეტყველების კულტურის) განყოფილება, რომელიც უწყვეტად ემსახურებოდა ქართული ენის ნორმატიული უზრუნველყოფის საქმეს.

მიზანმიმართულად დაირღვა ყველა ის პრინციპი, რასაც ჩვენს არცთუ დალხენილ პირობებში მეტ-ნაკლებად უნდა შეესხა ხორცი იმ განაზრახისთვის, რაც უკვე წარმოჩენილ საკანონმდებლო იდეაში იყო ჩანერგილი.

არ შეიძლება, ამ კონტექსტში კიდევ ერთი ფაქტი არ აღვნიშნოთ: იმავე დროს, როდესაც სახელმწიფო ენის კანონისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა, კიდევ ერთი „მონათესავე“ პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით. ეს იყო ნომინაცია **„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“**, რომელსაც 2016 წელს იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საკაცობრიო ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ეს დოკუმენტი, რომლის არსებობაც ბევრისთვის დღემდე უცნობია, წარმოადგენს მნიშვნელოვან ეროვნულ პროგრამას ქართული ენის მომავალი განვითარებისთვის, მხარდაჭერილს იუნესკოს მიერ. დეპარტამენტში კი კვლავაც ორბორბლიანი ველოსიპედის გამოგონებით არიან გატაცებულნი!..

მაშინ, როდესაც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დაფუძნებას საეჭვოდ აჯანჯლებდნენ, კომიტეტის თავმჯდომარეს (მ. ჯაშს), მიუკიბავ-მოუკიბავად ვუთხარი: სჯობს, სულაც არ შეიქმნას ეს სტრუქტურა, ვიდრე ისეთი შეიქმნას, რომელიც იდეის დისკრედიტაციას გამოიწვევს!

აქვე, ალბათ, საჭიროა, გითხრათ, რომ მე, როგორც კანონის შემუშავებასა და დაცვაში უშუალოდ ჩაბმულმა პირმა, რაკი დავინახე კანონის საწინააღმდეგო პროცესები, შეგნებულად ვთქვი უარი ამ პროცესში მონაწილეობაზე, მეტიც, გამოვაცხადე სამწლიანი დუმილი (მორატორიუმი), რათა ამბიციებით გამოწვეული კრიტიკანობის ეჭვიც კი არ გასჩენოდა ვინმეს. მაგრამ მოთმინებასაც აქვს თავისი საზღვარი!..

ახლა ყველა ხედავს, რას წარმოადგენს ეს დიდი სახელის, მაგრამ მკვდრადშობილი სახელმწიფო უწყება: სამი წელი ისე გავიდა, არათუ რაიმე ხმამაღალი განცხადება, ერთი წამოკნავლებაც არავის გაუგონია დეპარტამენტის სახელით. ყველაფრის მცოდნე ჟურნალისტებსაც კი ვერ მიუგნიათ, სად არის და რას აკეთებს ეს ნაოცნებარი „სანიტარი“ ჩვენი სავალალო ენობრივი მდგომარეობისა...

– ბატონო ათანდილ, შეგახსენებთ, სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი კანონპროექტის ბედი ჯერ კიდევ სასწორზე იდო (2014 წ.), საკუთარ ქვეყანას იკლებდა სომხეთის შესაბამისი უწყების (იქ სამინისტროსთან არსებობს სახელმწიფო ენის დაცვის ინსპექცია) ხელმძღვანელი, – სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კანონით განსაზღვრული ჯარიმა უნდა დაეკისროს, რადგან მან სახელმწიფო ენის კანონი დაარღვია, კერძოდ, რუს კოლეგასთან დიალოგი რუსულ ენაზე წარმართაო. ხომ ცნობილია სომხეთის ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ რუსული ენის ექსპანსიაზე საუბარსაც კი არ ერიდებოდნენ ინტერნეტში თუ პრესაში.

– მართალს ბრძანებთ, ზუსტად ასე იყო... ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ ამ დეპარტამენტში ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი პიროვნება, ყოფილი ენის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი, ბატონი ლევან ღვინჯილია, სამი წლის განმავლობაში, მარტოც კი შეძლებდა თავისი სულისკვეთებითა და ენთუზიაზმით თუნდაც თბილისის გათავისუფლებას პოსტბაბილონური იერსახისგან.

იქნებ ჩვენი სახელმწიფო ენაა ისეთ იდეალურ მდგომარეობაში, რომ შესანიშნი და გამოსასწორებელი არაფერია?

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს:

სამი წელია დეპარტამენტი არსებობს და ჯერ არცერთი მიმართულებით არ შეუმჩნევია ქვეყანას მისი არსებობა:

არც გარე წარწერების (რასაც თვალი უწინარეს ხედავს) სფეროში;

არც მასმედიის სფეროში;

არც განათლების, კერძოდ, სახელმწიფო ენის სწავლების სფეროში;

არც არაქართულენოვანი რეგიონების ენობრივი ადაპტაცია-ინტეგრირების მხრივ;

არც ოფიციალურ-საქმიან სფეროში;

არც სამეცნიერო-პრაქტიკული რესურსებით, სპეციალური პროგრამებით უზრუნველყოფის მიმართულებით...

არადა, იმდროინდელი საკუთარი სიტყვების მრცხვენია – სკეპტიკოსებს ვარწმუნებდი: კანონს მივიღებთ თუ არა, ორიოდე თვეში დაეტყობა ჩვენს დედაქალაქს, შემდეგ კი – რეგიონებს-მეთქი...

ზემოქმედების ბერკეტები არა გვაქვსო, – მიზეზს რა დაულევს უგერგილოს! საკმარისი ბერკეტები არსებობს ამ კანონშიც და რეკლამისა და მაუწყებლობის კანონებშიც, რომ დარღვევების უმეტესობა აღმოიფხვრას.

გარდა ამისა, კანონი ყველა წვრილმანს ვერ მოიცავს. სამაგიეროდ, კანონი დეპარტამენტს აკისრებს მოვალეობას, – დაადგინოს **წესები გარე წარწერების** სფეროში: 25.2: „ამ წარწერათა არასახელმწიფო ენაზე (მათ შორის – უმცირესობის ენაზე) წარმოდგენის წესებს განსაზღვრავს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.“

მაშ, სად არის ეს წესები?!

დეპარტამენტს უნდა დაეწესებინა მუდმივი **ზედამხედველობა მასმედიის ძირითადი საშუალებებისთვის** და გარკვეული პერიოდულობით (კვარტალში ერთხელ მაინც) ჰქონოდა მათთან პრინციპული საუბარი ძირითადი პრობლემების შესახებ. იქნებ მხოლოდ დეპარტამენტი ვერ ხედავს, ნორმების დაცვას ვიღა ჩივის, სიძულვილის ენისა და სკაბრეზის რა ნიაღვარი მოდის დღეს მედიასაშუალებებიდან?!

დეპარტამენტს ევალება იზრუნოს იმაზე, რომ **სახელმწიფო ენის სწავლების** ვალდებულება აღასრულოს ყველა ტიპის უმაღლესმა და პროფესიულმა სასწავლებელმა.

დეპარტამენტმა უნდა შეიმუშაოს ღონისძიებები, რათა სახელისუფლებო სტრუქტურებმა უზრუნველყონ რეგიონების მოსახლეობის მოთხოვნები **სახელმწიფო ენის ცოდნის გასაღრმავებლად** (კანონის 6.5: „საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთათვის სახელმწიფო უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის დაუფლების შესაძლებლობას“). არადა, გასული ერთი წლის კოვიდპანდემიამ უმწვავესად წარმოაჩინა მოსახლეობასთან ელემენტარული კომუნიკაციის პრობლემები. ამას ყველა ამჩნევდა და აღნიშნავდა, დეპარტამენტის გარდა.

დეპარტამენტს ევალებოდა სამი ძირითადი მიმართულებით შეემუშავებინა სასიცოცხლო მნიშვნელობის **სახელმწიფო პროგრამები**. ეს სამი მიმართულებაა: ა) სახელმწიფო ენის შესწავლა-სწავლება; ბ) სახელმწიფო ენის კვლევა, მისი ერთიანი ლექსიკოგრაფიული უზრუნველყოფა, ნორმებისა და ტერმინოლოგიის შემუშავება; გ) სახელმწიფო ენის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. რა გასაკვირია, თუ ამათ სახელმწიფო პროგრამაც ისე გაიგეს, თითქოს იმ პროექტებისა და გამოცემების ნუსხა უნდა შეედგინათ სახელმწიფო დაფინანსებისთვის, რომლებიც პირად გეგმებში ჰქონდათ.

ახლა კი დეპარტამენტი, რომელმაც მხოლოდ იმ კანონის სრული უგულებელყოფით გამოიჩინა თავი, რომელსაც საკუთარ არსებობას უნდა უმადლიდეს, თურმე „სტრატეგიის“ გამოგონებით ყოფილა დაკავებული (ისევ ილია მართლის ნათქვამი გვახსენდება თათქარიძეების ყოფასთან დაკავშირებით: ქართველ კაცს გამომგონებლობაში მართლაც ბადალი არა ჰყავს!)...

დეპარტამენტს კანონით ევალება შეიმუშაოს და საზოგადოებას მიაწოდოს ის აუცილებელი ენობრივი ნორმები და ტერმინოლოგიური სტანდარტები, რაც ყველაზე აქტუალურია ჩვენი თანამედროვე ენობრივი მეურნეობისთვის. განსაკუთრებით ტერმინოლოგიის სფეროში შეიქმნა გამოუვალი მდგომარეობა; უსანქციოდ შემოჭრილმა ტერმინებმა, ბარბარიზმებმა გაავსო საგანმანათლებლო და საინფორმაციო სივრცე. დეპარტამენტს, კერძოდ, სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიას ევალებოდა შეემუშავებინა **ტერმინოლოგიის დადგენისა და გამოყენების ნორმები**.

სად არის ეს ნორმები?! თუ დეპარტამენტისთვის ის აქტუალური არ არის? თუმცაღა, დეპარტამენტმა ამ მიმართულებით მაინც გადადგა ორიოდე კუს ნაბიჯი – გამოსცა ე.წ. „გავრცელებული ენობრივი შეცდომების ლექსიკონი“ და მართლწერის მცირე ბიულეტენი. ეს უკანასკნელი ოდნავადაც ვერ უპასუხებს ამ სფეროს თანამედროვე მოთხოვნებს. რაც შეეხება კომპილაციურ-პლაგიაციურ ლექსიკონს **(თურმე კვირიკაშვილის შეკვეთით მოხლაფორთებულს),** უზუსტობებს რომ თავი დავანებოთ, ის თავისი არსით ბრომლეის ინსტიტუტის შეკვეთით გაკეთებული გეგონებათ. დიახ, იყო რუსეთში ასეთი შოვინისტური ბუდე – ბრომლეის ინსტიტუტი, რომელიც რესპუბლიკებში რუსული ენის გავრცელების ინტენსივობას შეისწავლიდა. გზადაგზა ის აქვეყნებდა მკაცრ მამხილებელ წერილებს, ქართულში ამდენი სიტყვაა რუსულიდან შესული (სტოლი, პოლი, პატალოკი, ფეჩი, სპიჭკა, რული, გრუზავიკი...) და ქართველი მეცნიერები კი ამას ლექსიკონებში არ ასახავენო. მართლაც, არა მხოლოდ სალიტერატურო ენის, დიალექტურ ლექსიკონებშიც არ შეჰქონდათ ჩვენს ლექსიკოგაფებს რუსული ბარბარიზმები და ამით ქმნიდნენ ქართული ენის განვითარების გონივრულ სტრატეგიას. დეპარტამენტში კი, თუ სადმე ვინმეს რამე უცხო სიტყვა წამოსცდა, ყველას აღნუსხვა გადაუწყვეტიათ, რითაც დამატებით არხს უხსნიან ამ „ბარბარიზმების“ დამკვიდრებას. ნუთუ მართლა ჰგონიათ მათ, რომ ისეთი სიტყვები, როგორიცაა **სთოქი, სიქლივი, სტაფი, სფიჩი, სქილები, ტანტიემი, ფეისი, ფიდბექი, ჩელენჯი, ლოგაუთი, ლუგერი...** მათ შორის – რუსული: **ჟეშტი, ჟიდკოსტი, რემენი, რიჩაგი, რუჩნიკი, ტორმუზი** და სხვ. და სხვ. მართლაც ასე გავრცელებულია ქართულ ენაში? არა გვჯერა, რომ ნამდვილად ასე ჰგონიათ, ამიტომაც ვეჭვობთ, რომ ბრომლეურ საქმეს ემსახურებიან.

– სახელმწიფო ენის კანონის მიღების, ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ნუთუ არ გაუჩნდა საქართველოს პარლამენტს (ის ხომ ისევ „ქართული ოცნების“ უმრავლესობით არის დაკომპლექტებული), რომ კანონის აღსრულების საზედამხედველო ფუნქცია განეხორციელებინა, ანუ მსჯელობის საგნად ექცია ის პრობლემები, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ?

– არცთუ დიდი ხნის წინათ (ა.წ. 19 მარტს, ანუ – არა სათოთხმეტაპრილოდ!), საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დანიშნა სხდომა, რომლზეც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ანგარიში მოისმინეს. მოგეხსენებათ, ეს ამბავი დაემთხვა ამ კომიტეტისა და შესაბამისი სამინისტროს კვლავ განცალკევების, ანუ კულტურისა და სპორტის დამოუკიდებელ ერთეულებად გამოყოფის დროს. ანუ ისე გამოვიდა, **რომ ეს აღმოჩნდა ქალბატონ თეა წულუკიანის ყოფნის ბოლო დღე ამ კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე;** ამიტომაც პრობლემის არსში გარკვევის ამ მცდელობამაც ამაოდ ჩაიარა. იმ ცაიტნოტში სათქმელის თქმაც ვერ მოხერხდა... არადა, ქალბატონი თეა არ არის ის პიროვნება, რომელიც ამ მოსმენის ინიციატივას მხოლოდ ფორმალობისთვის გამოიჩენდა (სწორედ ამიტომ აღვნიშნეთ, რომ ეს არ იყო სათოთხმეტაპრილო ღონისძიება), ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ კომიტეტს სურდა რაღაც ქმედითი ნაბიჯები გადაედგა. ქალბატონი თეა კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩაუდგა სათავეში, მაგრამ კომიტეტის შემადგენლობა ხომ ძირითადად იგივე დარჩა. ამასობაში ერთ თვეზე მეტი გავიდა, ბატონებო! ერთი თვე 21-ე საუკუნეში მცირე დრო არ არის და თუ ყოველ დღეს ქვეყნის სასარგებლოდ არ გამოვიყენებთ, მას ქვეყნის წარმატების მოწინააღმდეგეები საკმაოდ წარმატებით იყენებენ!..

ამავე დროს, უპირველესად პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა უნდა მიიღოს მხედველობაში ახალი რეალობა – კიდევ ერთი წინგადადგმული საკანონმდებლო ნაბიჯი სახელმწიფო ენის დასაცავად. სახელდობრ: საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად შეცვალა სახელმ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 95-96

წიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი, თანაც – ცვლილება მოხდა გაუმჯობესების მიმართულებით...

გავიხსენოთ: 1978 წლის 14 აპრილის გამოსვლა საბჭოთა იმპერიის მიერ ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შეცვლის მცდელობას მოჰყვა. საგულისხმოა, რომ მაშინდელი საქართველოს საბჭოურ კონსტიტუციაში, „კომუნიზმის“ გაბუქულ იდეალებს შორის შესაბამისი ფორმალური მუხლი მხოლოდ 75-ე ადგილს იკავებდა! მაგრამ ფაქტია, რომ ის მაინც იძლეოდა ეროვნული ენის დაცვისა და თუნდაც საკანონმდებლო უზრუნველყოფის საშუალებას. სწორედ მის საფუძველზე ვცდილობდით 80-იანი წლების ბოლოს სახელმწიფო ენის კანონის შემუშავებას...

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია უკვე მე-8 მუხლს განუკუთვნებს სახელმწიფო ენას, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს. სწორედ ამ მუხლის საკანონმდებლო უზრუნველყოფას წარმოადგენს 2015 წელს მიღებული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.

საქართველოს უახლესმა კონსტიტუციამ კიდევ უფრო აამაღლა სახელმწიფო ენის რანგი, მას მიუჩინა მე-2 მუხლის („სახელმწიფო სიმბოლოები“) მე-3 პუნქტი და იქვე ისიც განსაზღვრა, რომ **„სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით“.**

ეს უკვე სრულიად ახალი რეალობაა. ამიტომაც ამ ეტაპზე (კანონის მიღებიდან 5 წლის შემდეგ) უკვე იმაზე უნდა ვმსჯელობდეთ, რა საკანონმდებლო ინიციატივებს მოითხოვს სახელმწიფო ენის ახალი კონსტიტუციური სტატუსი და არა იმაზე – როგორ ვიხსნათ სახელმწიფო ენის იდეა სრული დისკრედიტაციისაგან! როგორ მოვარჯულოთ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სახელით სახელმწიფო ენის კანონის წინააღმდეგ მოქმედი ეს მინი „გაერთიანებული ოპოზიცია“!..

– ბატონო ავთანდილ, 14 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, სხვათა შორის, ქართველური ენების დაცვის პრობლემაც დააყენა, მათ შორის, ამ ენების სწავლების საკითხი... როგორ უყურებთ თქვენ ამ ეროვნულ საკითხს?

– დიახ, პრეზიდენტის განცხადებამ უკვე გამოიწვია არაერთგვაროვანი რეაქცია. პრეზიდენტმა, რაკი ასეთ განცხადებას აკეთებს, ცხადია, იცის პრობლემის ნამდვილი არსი და ამას მხოლოდ პიარისთვის არ აკეთებს.

ეს არ არის მარტივი პრობლემა. ჯერ ერთი – ობიექტურად: გლობალიზაციის იმ საინფორმაციო-ტექნოლოგიურმა შესაძლებლობებმა და მასშტაბებმა, რამაც დედამიწის კუნჭულიც კი არ დატოვა ხელშეუხებელი, საფრთხე შუქმნა არა მხოლოდ მცირერიცხოვანი ენების არსებობას, არამედ მწიგნობრულ ეროვნულ ენებსაც კი. დღეს სამი ათასამდე გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი ენაა დედამიწის ზურგზე და ცივილიზებულ მსოფლიოს რეალური საშველი ვერ უპოვია. უარეს დღეშია უფრო მცირე ენობრივი ერთეულები – დიალექტები. შორს რომ არ წავიდეთ, აგერ, ჩემი მშობლიური ხევსურული დიალექტი ჩვენს თვალწინ ქრება, მაგრამ ამისი წამალი არ ვიცი. არა, როგორ არ ვიცი, მაგრამ ეს გზა რეალობაში ისევე განუხორციელებელია, როგორც გველისმჭამელის იდეა, ადამიანი ბუნებაში დაებრუნებინა... მეორეც, რაც მთავარია: ქართველური ენების თემაზე მეოცე საუკუნის დასაწყისსა და დასასრულს ორი ისეთი პროვოკაცია განხორციელდა, რომ, ალბათ, კიდევ დიდხანს არ განელდება სინდრომი – „ცხელის შეშინებული ცივს უბერავდაო“. ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში ამ ნიშნით მოვლენების პროვოცირებამ სერიოზულად დააზარალა როგორც ჩვენი ეროვნული საზოგადოების ნდობისა და ერთიანობის სულისკვეთება, ისე საუნივერსიტეტო და ქართველოლოგიური სივრცე, რომელსაც ამ თვალსაზრისით სწორედაც რომ ეკისრებოდა და ეკისრება წარმმართველი როლი...

საქართველოს პრეზიდენტი სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებს, როდესაც ამბობს, რომ „მეგრულიც და სვანურიც ჩვენი საგანძურია, რომელსაც უნდა ვიცავდეთ და ვანიჭებდეთ სწორ ადგილს“ (პრეზიდენტმა თავისი უშუალო გარემოცვისგან უთუოდ იცის, რომ უახლოეს ხანს ამ საგანძურისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების იდეა არსებობდა და მას მკვეთრი წინააღმდეგობა შეხვდა). ამიტომაც, კარგი იქნებოდა მას გაეთვალისწინებინა ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი, რომელიც სახელმწიფო ენის კანონშია ასახული 4,3 მუხლის სახით: **„სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენა-კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე“**. ვისაც ენობრივი პოლიტიკა ესმის, უთუოდ დაინახავს, რომ ამით სახელმწიფო ენაზე მეურვეობის არეალში მოექცა ქართველი ერის მთლიანი ენობრივი მემკვიდრეობა და, იმავე დროს, ხელშესახები ზღვარი გაევლო ჩვენი ქვეყნის ენობრივი მრავალფეროვნების სივრცეში მიმდინარე და შესაძლებელი პროცესებისაგან. რა გასაკვირია, თუ კანონის აღსასრულებლად მოსულმა ამავე კანონის მოწინააღმდეგეებმა უწინარესად სწორედ ამ მუხლს შეუტიეს!

ამ კონტექსტში მოკრძალებით შევახსენებდით საქართველოს პრეზიდენტს კიდევ ერთ მის იდეას, რომელიც **ქართველოლოგიის განვითარების** რეალური პირობების შექმნას შეეხება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც! აი, რაშია რეალური საფუძველი იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც ამჯერად ჩვენი ქართველური საგანძურის მოვლის მის მიერ შემოთავაზებულ განცხადებას უკავშირდება. ქართველური ენობრივი მემკვიდრეობა მხოლოდ ძლიერი ქართველოლოგიური ცენტრების გაზაზე შეიძლება იყოს დაცული და განვითარებული.

– ბატონო ავთანდილ, რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი მეცნიერული და პროფესიული კეთილსინდისიერებით გაჯერებულ თქვენს ამ შენიშვნებს აუცილებლად გაითვალისწინებს...

ესაუბრა
სპარტაკ ქოგულია

მინისტრის თაოსნობა: ოსტატთა რეესტრი არქიტექტორულ ძეგლებს დაიცავს

კულტურის სამინისტრო რესტავრატორ-კონსერვატორ ოსტატთა რეესტრის შექმნას იწყებს. ამის შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა ბრიფინგზე განაცხადა.

კულტურის სამინისტროს ცნობით, ინიციატივა თეა წულუკიანს ეკუთვნის. ინიციატივის თანახმად, საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სათანადო ხარისხით დაცვის მიზნით, დაგეგმილია მიმდინარე წელს ოსტატთა რეესტრის შექმნა, ხოლო 2022 წლიდან მათი სერტიფიცირების სისტემის ამუშავება.

„დღეიდან 15 ივნისამდე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (შემდგომში – კულტურის სამინისტრო) მიიღებს შემდეგი პროფესიის ოსტატების განაცხადებს: ქვითხურო (ქვისმთლელი მწყობელი; ჩუქურთმის მჭრელი; დეკორატორი); ხითხურო; ყოველი სადურგლო სამუშაოს შემსრულებელი; კირითხურო (მლესავი; ყორემწყობელი; მძერწავი); სახურავთა ოსტატი (კრამიტ-ლორფინის ოსტატები; მეთუნუქე ოსტატები); მჭედელ-ზეინკალი; მეავეჯე; ხარატი; დეკორატორი.

განაცხადების მიღების შემდეგ, კანდიდატები წარდგებიან სპეციალური კომისიის წინაშე, რომელიც პროფესიონალი არქიტექტორ-რესტავრატორებითა და დარგის სხვა შესაბამისი სპეციალისტებით იქნება დაკომპლექტებული. გასაუბრების შედეგად, კომისია ან გასცემს რეკომენდაციას კულტურის სამინისტროს სისტემაში დასაქმების შესახებ, ან მიუთითებს დასაქმებამდე კვალიფიკაციის ამაღლებაზე. კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს (თეორიულ-პრაქტიკული წვრთნები) უზრუნველყოფს კულტურის სამინისტრო. დასაქმებული ან კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე გაგზავნილი პირებისაგან შედგება ოსტატთა რეესტრი.

რეესტრის საფუძველზე, ეტაპობრივად გაცოცხლდება ჩვენს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სათანადოდ დაცვის ტრადიცია რესტავრაციაკონსერვაციის პროცესში. საბოლოო ჯამში, რეესტრში აღრიცხული ოსტატები მიიღებენ დამატებით პრაქტიკულ გამოცდილებას და ერთწლიანი პერიოდის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სერტიფიკატს.

გათვალისწინებულია, რომ 2022 წლის პირველი მაისიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მუშაობის უფლება ჰქონდეთ მხოლოდ იმ სპეციალისტებს, რომელთაც ექნებათ სერტიფიკატით დადასტურებული პროფესიული უნარები“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, კულტურის მინისტრის მიერ ამ მნიშვნელოვანი ინიციატივის შესახებ ბრიფინგს ესწრებოდა პროფესიონალი არქიტექტორ-რესტავრატორი, ამჟამად აბასთუმნის, დუშეთის, თბილისის დედაციხის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაციის კოორდინატორი ტარიელ კიპაროიძე.

„ტარიელი გახლავთ ამაგდარ არქიტექტორ-რესტავრატორების, რუსუდან გვერდწითელის, ვახტანგ ცინცაძისა და ლეო ხიმშიაშვილის მოწაფე, რომელთაც, მათი ღვაწლის გამო, თაობები მუდამ მადლიერების გრძნობით მოიხსენიებენ“, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

უწყებაში განმარტავენ, რომ ოსტატთა რეესტრის შექმნის აუცილებლობა ქვეყანაში კულტურულ მემკვიდრეობის მიმართულებით არსებულმა პრობლემებმა განაპირობა.

სამინისტროში აცხადებენ, რომ მიმდინარე წლის 15 ივნისამდე, რეესტრში მოსახვედრად პრაქტიკოს ოსტატებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს კულტურის სამინისტროს ფეისბუქის ოფიციალური გვერდის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის info@culture.gov.ge ან ცხელი ხაზის მეშვეობით ნომერზე 2-022-229.

თეატრის განვითარებისა და აღორძინებისთვის

თეატრის სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და „თეატრალური საზოგადოებას“ შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც მინისტრმა თეა წულუკიანმა და შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ გიორგი გეგეჭკორმა მოაწერეს ხელი.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებას სხვადასხვა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელები, დირექტორები, თეატრმცოდნეები, მსახიობები და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შალუტაშვილი ესწრებოდნენ.

მათივე ინფორმაციით, თანამშრომლობის ფარგლებში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და „თეატრალური საზოგადოება“ ერთობლივად განსაზღვრავენ თეატრის სფეროში განსახორციელებელი რეფორმის ძირითად პრინციპებს; იმუშავებენ კულტურის კოდექსის პროექტში შესატანი თეატრის სფეროსთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირების მიმართულებით, ასევე, თეატრების განვითარების პროგრამების შექმნის, ადამიანური რესურსის გაძლიერებისა და იმგვარი მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვის საკითხებზე, რომლებიც თანამედროვე გამოწვევებს პასუხობს და უზრუნველყოფს როგორც თეატრზე წვდომას, ასევე, თეატრების ფინანსურ და შემოქმედებით მდგრადობას.

მემორანდუმი ასევე გულისხმობს სამინისტროს გამგებლობის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შერჩევის პროცესში სამინისტროსათვის კონსულტაციების გაწევასაც. გარდა ამისა, დაგეგმილია დარგის განვითარების ხელშეწყობისათვის სხვადასხვა მიზნობრივი პროექტების/კონკურსების განხორციელება.

ლევილის მამული, პარიზის წიგნის ბაზრობა და იმედიანი შეთანხმება



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი და მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე საქართველოში საფრანგეთის ელჩს, დიეგო კოლასს შეხვდნენ და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს.

მინისტრმა ელჩს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე წლის 20 მაისს ლევილში დაგეგმილი მისი ვიზიტის შესახებ. თეა წულუკიანმა გაიხსენა იუსტიციის მინისტრობის პერიოდში ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის მიზნით მისი მონაწილეობით წარმოებული რთული და კომპლექსური მოლაპარაკებები და აღნიშნა, რომ იგი ამჟამად ლევილს თავის კოლეგასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანთან და საგანგებო დავალებათა ელჩ გელა დუმბაძესთან ერთად ეწვევა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ლევილის მამულში კულტურული კერა უნდა მოეწყოს. შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო პარიზის წიგნის ბაზრობას, რომელიც პანდემიის მიზეზით რამდენჯერმე გადაიდო და, სავარაუდოდ, 2023 წელს უნდა ჩატარდეს. ელჩის თქმით, საფრანგეთის საელჩო ხელს შეუწყობს საქართველოს ამ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

თეა წულუკიანმა საფრანგეთის ელჩს დახმარება სთხოვა საქართველოდან ახალგაზრდა არქიტექტორ-რესტავრატორთა საფრანგეთში მისავლენად იმ ძეგლებზე სამუშაოდ, რომელთა რესტავრაციაც ამჟამად მიმდინარეობს. საფრანგეთის ელჩი სამინისტროს ამ მიმართულებით დახმარების აღმოჩენას დაჰპირდა.

საქართველოს კულტურის სამინისტროს პრესსამსახური

ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘ, ᲠᲣᲖᲕᲔᲚᲢᲘ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲫᲚᲔᲕᲘᲡᲐ

ᲐᲛ ᲛᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲮᲐᲠᲬᲘᲡᲐ

- **გერმანელი ჯარისკაცი, ჩემი აზრით, ფიზიკურად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ჩვენი ჯარისკაცი, რადგანაც მას უკეთესად კვებავდნენ და უვლიდნენ.**
- **გერმანელი ჯარისკაცი უფრო წიგნიერი იყო — გერმანიაში საყოველთაო განათლება არსებობდა, გაცილებით ადრე, ბოლშევიკურ კულტურულ რევოლუციამდე და, მაშასადამე, პროფესიულადაც უფრო მაღლა იდგა.**
- **გერმანელი ჯარისკაცი უკეთესად იყო ეკიპირებული;**
- **გერმანელი ჯარისკაცი უფრო დისციპლინებული იყო და, რაც არსებითია, საბჭოთა ჯარისკაცზე არანაკლებ იდეოლოგიურად მოტივირებული — ფაშიზმი, როგორც სახელმწიფო იდეოლოგია, მძლავრ ფაქტორს წარმოადგენდა და ჰიტლერელები მედგრად იბრძოდნენ.**

განვაგრძოთ. გერმანელი ოფიცერი, განსაკუთრებით ომის პირველ წლებში, როგორც პროფესიონალი, ჩვენს ოფიცერს აღემატებოდა - უფრო განათლებული, უფრო გამოცდილი, უფრო ინიციატივიანი და დამოუკიდებელი იყო.

გერმანელი მხედართმთავრები (მანშტეინი, მოდელი, ჰალდერი, გუდერიანი), არსებითად, უკეთესი პროფესიონალები იყვნენ, ვიდრე ჩვენი მხედართმთავრები. ისეთი ალყა, სტალინგრადთან რომ შემოვარტყით, მათ ათამდე მაინც მოუწყვიათ (ჩვენი ტყვეების ოდენობა 1941-ში იყო 3, 9 მილიონი, მარტოოდენ კიევთან — 600 ათასზე მეტი).

მათი იარაღი უკეთესი იყო ჩვენსაზე („კალაშნიკოვის“ ავტომატი ომის შემდეგ გამოიგონეს). ავტომობილები, მოტოციკლები, კავშირგაბმულობა, ოპტიკა, მედიცინა — ამათი შედარებაც კი არ შეიძლება!

გერმანული თვითმფრინავები, უწინარეს ყოვლისა, „მესერშმიტები“, „იუნკერსები“, ლამის ომის დასასრულამდე სჯობდნენ ჩვენს თვითმფრინავებს. გერმანული ტანკები 1943 წლამდე ნაწილობრივ ჩამოუვარდებოდნენ ჩვენს ტანკებს, მაგრამ ფაშისტები გაცილებით უკეთ იყენებდნენ მათ — ტანკისტთა პროფმომზადების, მეტი სწრაფსროლისა და კავშირგაბმულობის წყალობით. რაც შეეხება „ფერდინანდებს“, „ტიგრებსა“ და „პანტერებს“, ისინი ჩვენს ტანკებზე უარესი არ ყოფილა და, საერთოდ, ვის მოუვა თავში, რომ შეუდარო ერთმანეთს „მერსედესი“ და „ვოლგა“, გერმანული და საბჭოთა მანქანათმშენებლობა? ასე იყო და, სამწუხაროდ, კვლავაც ასე იქნება. და, კაცმა რომ თქვას, ჩვენ სრულიად საფუძვლიანად უნდა ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენი სამხედრო ტექნიკა, განსაკუთრებით, ტანკები, გერმანულს უტოლდებოდა.

მოსახლეობის ოდენობით თითქოსდა უპირატესობა გვქონდა, მაგრამ აბა, აქაც ვიანგარიშოთ: გერმანია პლუს იტალია, პლუს რუმინეთი, პლუს ავსტრია, პლუს სლოვაკეთი, პლუს ხორვატია, პლუს უნგრეთი, პლუს მოხალისეები ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან — აი, საბჭოთა კავშირის რეალური მოწინააღმდეგე. საბჭოთა პროპაგანდა ორმოცი წლის მანძილზე ჩქმალავდა იმას, თუ რა როლს ასრულებდა მეორე მსოფლიო ომში ზოგიერთი ჩვენი მოკავშირე ომისშემდგომი სოციალისტური ბანაკიდან, მაშინ, როდესაც თითქმის მილიონი უნგრელი ნაცისტთა მხარეზე იბრძოდა.

რაც შეეხება ციმბირული დივიზიების მოხსენიებას, ეს პროპაგანდაა: ურალს გადაღმა, შორეული აღმოსავლეთის ჩათვლით, ჩვენი მოსახლეობის არაუმეტეს 7 პროცენტისა ბინადრობდა.

ამასთან ერთად, ომის პირველ ექვს თვეში ფაშისტებმა დაიკავეს ტერიტორია, სადაც 80 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. გარდა ამისა, საფრანგეთის, დანიის, ჰოლანდიის, ბელგიის, ნორვეგიის, ჩეხეთის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ერთგულად ემსახურებოდა მესამე რაიხს. ამგვარად, გერმანია შრომითი და საკადრო რესურსების ოდენობით აღემატებოდა საბჭოთა კავშირს, რომელსაც დაახლოებით 90 მილიონი ადამიანი ჰყავდა. მაშასადამე, გერმანიას აქაც არსებითი უპირატესობა გააჩნდა.

ორმოციანი წლების დამდეგს ფაშისტურმა არმიამ მიაღწია შესანიშნავ სამხედრო წარმატებებს. პოლონეთი დაამარცხეს ერთ კვირაში! საფრანგეთის განადგურება მოხდა თვენახევარში! ჩვენ კი საშინელი მარცხი ვიგემეთ არა მარტო 1941-ში, არამედ — 1942-შიც — ყირიმში, ხარკოვთან. არსებითად, მესამე რაიხის ვერმახტი მსოფლიო ისტორიაში შეიძლება შევუდაროთ ნაპოლეონისა და ალექსანდრე მაკედონელის არმიებს. ეს იყო უეჭველად ფენომენალური სამხედრო მანქანა.

> **არა ოდენობა ჩვენი დანაკარგებისა, არამედ ყოველმხრივ აღმატებულ ქვეყანასა და არმიაზე თავად გამარჯვების ფაქტი — აი, რა უნდა იყოს მსჯელობის საგანი. აი, რა არის სასწაული! გერმანელები თითქმის ყველაფერში გვჯობნიდნენ, მაგრამ მაინც დამარცხდნენ.**

ფრონტზე ნამყოფი „სამოციანელები“ ამბობენ, რომ მტერი ქვეშ მოვიყოლეთ ჩვენი გვამებით (სხვათა შორის, თითქმის ყოველივე ზემოთქმული სწორედ მათი მოგონებებიდან არის აღებული). ეს უთავბოლო სისულელეა. დიახ, ჯარისკაცები არ ებრალებოდათ, მაგრამ ჩვენივე გვამებით დაგვემარცხებინა მტერი, ყოვლად შეუძლებელია.

მაშ როგორ გავიმარჯვეთ, რატომ გავიმარჯვეთ? რისი წყალობით გავიმარჯვეთ?

რატომ გვამარცხებდნენ 1855-ში, 1904-ში, 1914-ში?

პასუხი წინათაც სწორი იყო: ცხოვრების ყოველი სფეროს მოდერნიზაციაში რუსეთი სხვებს ჩამორჩებოდა და ამის გამო დაუნდობლად გვბრეგვავდნენ. და თუკი ეს ჩამორჩენილობა ხელს არ უშლიდა, რომ დაემარცხებინა ოსმალეთის იმპერია, დაეპყრო შუა აზია, სამაგიეროდ, ნამდვილ ომში „ცივილიზებულ ქვეყნებთან“ დაპირისპირება რუსეთის იმპერიას არ ძალუძდა. მართალია, რუსი ჯარისკაცი ისეთივე რჩებოდა, როგორიც ადრე იყო — უბრალო, მომთმენი, მაგრამ ეს სრულიადაც არ კმაროდა. რუსეთის სახელმწიფო ამჟღავნებდა თავის ჩამოუყალიბებლობას.

ხოლო დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირმა დაამზადა 112 ათასი თვითმფრინავი და 103 ათასი ტანკი (შედარებისთვის; ჰიტლერმა აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევა დაიწყო 22 ივნისს, როდესაც მას 3850 ტანკი და 1830 თვითმფრინავი ჰქონდა. ეს კი ეყო საიმისოდ, რომ მოსკოვამდე მოსულიყო).

ამჟამად, არცთუ იშვიათად, ამტკიცებენ, რომ რუსეთმა 1945 წელს გაიმარჯვა, მიუხედავად ბოლშევიკური რეჟიმისა. ხალხმა თავისი საუკეთესო თვისებანი გამოავლინაო. მაშასადამე, ხალხმა ამის გამოვლენა ვერ შეძლო ვერც 1855-ში, ვერც 1904-ში. ხოლო 1917-ში საერთოდ გამოიქცა ფრონტიდან, აქ კი გმირობისა და ორგანიზაციის სასწაულები გამოავლინა. ესოდენ საოცარი „ხალხისნური ბოდვა“ XXI საუკუნეში არ გვეკადრება! ნეტავი ვიცოდეთ, ხალხმა ასეთი საბრძოლო სახელი და დიდება წინარე 100 წლის განმავლობაში რატომ არ მოიხვეჭა?!

> **გაიმარჯვა საბჭოთა კავშირმა. გაიმარჯვა განხორციელებული კულტურული რევოლუციის, ინდუსტრიალიზაციის, შექმნილი პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემის წყალობით, გაიმარჯვა ყველა ძალისა და რესურსის ტოტალური კონცენტრაციის შედეგად. მორალური სულისკვეთებაც მაღალი იყო, უმკაცრესი დისციპლინა და პასუხისმგებლობა სუფევდა.**

სტატისტიკა ერთნიშნად გვეუბნება: ამხანაგი სტალინი მართალი იყო, მას მხოლოდ და მხოლოდ ასე უნდა ემოქმედა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელად ვინმე გორბაჩოვისნაირი რომ ყოფილიყო, ვთქვათ, ბუხარინი, ყველაფერი წუთში დაიქცეოდა - როგორც კერენსკის დროს, 1917-ში.

სტალინმა ომამდე და ომის მსვლელობაშიც, ალბათ, შეცდომები დაუშვა. პოლიტიკა რთული რამ არის. აგერ ახლახან კრემლმა ფანტასტიკურად უნიჭოდ წააგო „ბრძოლა“ უკრაინისთვის. იოსებ ბესარიონის-ძეს მეტი საფუძველი ჰქონდა ჰიტლერისადმი ნდობისთვის, ვიდრე პრეზიდენტ პუტინს — იანუკოვიჩისადმი. ასე რომ, შეცდომები მოსდით ყოველ დროში. მთავარი ისაა, რომ სტალინს ჰქონდა ხელისუფლების ვერტიკალი, რომელიც მოქმედებდა. შეიძლება საუკეთესო გადაწყვეტილება არ მიეღო, სამაგიეროდ, ყველამ იცოდა, რომ გადაწყვეტილება აუცილებლად იქნებოდა და, როცა მას მიიღებდნენ, აუცილებლად უნდა შესრულებულიყო!

რუსეთი მარადჟამს წარმოადგენდა აყირავებულ პირამიდას, რომელიც კენწეროს ეყრდნობა. ამიტომაცაა, რომ ჩვენში თითქმის ყველაფერი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მმართველის პირად ნიშან-თვისებებზე.

> **1917-ში იმპერატორი ყოველად უვარგისი გამოდგა და ქვეყანა დაიქცა. 1941-ში კი კენწერო მყარად იდგა და საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა. პეტრე I-მა შექმნა იმპერია, ეკატერინე II-მ იგი დიდ იმპერიად აქცია. ალექსანდრე I-მა დაამარცხა ნაპოლეონი, ლენინმა დაანგრია რუსეთის იმპერია, სტალინმა აღადგინა იგი და ჰიტლერი დაამარცხა, გორბაჩოვმა თავისუფლება მოგვანიჭა და სახელმწიფო დაშალა... ჩვენს ისტორიაში ყველაფერი პერსონიფიცირებულია: სამოქალაქო საზოგადოებას აქ არასდროს უბოგინია. არსებობდა სახელმწიფო, რომელსაც ჰყავდა ლიდერი და მის ღირსებებზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მარქსიზმი ყოველთვის უარყოფდა პიროვნების როლს, მაგრამ რუსეთის მთელი ისტორია საწინააღმდეგოს გვისაბუთებს — გონიერი მმართველის დროს რაღაც გამოგვდის, უნიჭო მმართველის დროს ყველაფერი უფსკრულში იჩეხება.**

საბჭოთა კავშირმა განიცადა კოლოსალური, მანამდე გაუგონარი დანაკარგები, მაგრამ პროცენტული შეფარდებით ნაკლები, ვიდრე სომხებმა — ოსმალეთის იმპერიაში გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტისას, ებრაელებმა - მეორე მსოფლიო ომის დროს. აი, რას უნდა შევუდაროთ დანაკარგები: რუსეთს ელოდა გენოციდი და ქვეყანა გადაურჩა მას.

საბჭოთა კავშირმა გადაარჩინა მსოფლიო ცივილიზაცია. ეს არის ყველაზე ღირსშესანიშნავი, რაც რუსებს თავიანთი ათასწლოვანი ცივილიზაციის განმავლობაში კაცობრიობისთვის გაუკეთებიათ. ეს ბიბლიური მასშტაბის მოვლენა გახლავთ.

სამარადისოდ!

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲕᲘ,
„Литературная газета“

მოამზადა
ᲚᲐᲨᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲘᲐᲜᲔ

ᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲝᲠᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ...

მესამე რაიხის შინაგან საქმეთა ყოვლისშემძლე მინისტრის, ჰაინრიჰ ჰიმლერის ერთ-ერთი გამორჩეული ხელქვეითი, 1938-45 წლებში გერმანიის საგარეო დაზვერვის უფროსი ვალტერ შელენბერგი თავისი საქმის უბადლო სპეციალისტი იყო.

საუცხოო არიული გარეგნობის მქონე ეს გენერალი თავად ადოლფ ჰიტლერსაც დიდად მოსწონდა, რასაც პირველყოვლისა ობერგრუპენფიურერ შელენბერგის სამსახურის წარმატებები განაპირობებდა. ამდენად, ფიურერი მისი დიდად კმაყოფილი იყო მანამდე, ვიდრე აბვერი უშუალოდ არ დაუპირისპირდა საბჭოთა კონტრდაზვერვასა და პირადად მის თავკაცს — **ლავრენტი ბერიას**. ამ ფრონტზე კი ვალტერ შელენბერგის „ბიჭები“ მარცხს მარცხზე განიცდიდნენ, რაც კარგადაა ასახული თუნდაც მის დღიურში, რომლის მცირე ამონარიდსაც გთავაზობთ მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 75 წლისთავის წინა დღეებში:

„რუსული დაზვერვის სათავეში ისეთი გულთმისანი და ვირტუოზი პროფესიონალი რომ არ ყოფილიყო, როგორიც ლავრენტი ბერია, თუმცა კი ეროვნებით ქართველი, ჩვენ ომს არ წავაგებდით.

სამწუხაროდ, ჩვენთვის სრულიად მიუწვდომელი გზებითა და ხერხებით, ამ კაცის ხელში ხვდებოდა რაიხის ყველაზე გასაიდუმლოებული დოკუმენტი, რომელსაც შემდგომ გერმანიისა და მისი მოკავშირეების ინტერესების საწინააღმდეგოდ იყენებდა მთავარსარდალი იოსებ სტალინი. ომი გერმანიას, ფაქტობრივად, ამ ორმა ქართველმა მოუგო“...

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

ᲝᲗᲐᲠ ᲤᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

გადაწყვეტილება

არბიტრაჟის სახელით სარეზოლუციო ნაწილი

საქმე №01-30/2020

ქ. თბილისი 18 თებერვალი, 2021 წელი

საარბიტრაჟო კოლეგია –
მამუკა ღვინიაშვილი
(თავმჯდომარე, მომხსენებელი)
თეა ხამხაძე
ლაშა კალანდაძე

რეგისტრატორი – ქეთევან დუმბაძე

მოსარჩელე – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
(წარმომადგენელი ნათია მამუკაშვილი)

მოპასუხეები – შპს „აქსისი", ი.მ.ა „აქსისი პალასი-2", მაია დილევსკაია, გედეონ სამარგულიანი, ლანა გიგაური, გურამ ჭოხონელიძე, ნინო გურგენიძე, ეკატერინე სადრაძე, ვასილ ებრალიძე, მარინე ჩიტიაშვილი, სტეფანე განჯელაშვილი, ირაკლი დავითაია, ივანე ციმაკურიძე და ნინო კელაპტრიშვილი

მოპასუხეთა წარმომადგენლები - ირინე ჯანელიძე და ლევან ტყეშელაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე :

1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2. შპს „აქსისს" ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სასარგებლოდ დაეკისროს 2 053 360.59 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც 1 594 000 აშშ დოლარი წარმოადგენს ძირითად თანხას, ხოლო 459 360.59 აშშ დოლარი საპროცენტო სარგებელს. მასვე დაეკისროს საარბიტრაჟო მოსაკრებლის 30000 ლარის და საჯარო რეესტრის ამონაწერების განახლებისათვის გაწეული ხარჯის 55 ლარის გადახდა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სასარგებლოდ.

3. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დადგინდეს იპოთეკით დატვირთული შემდეგი უძრავი ნივთების რეალიზაცია აუქციონზე:

3.1. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N4-02, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.04.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458757, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ლანა გიგაური.

3.2. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N8-03, ბლოკი 5, ს/კ 01.10.17.002.006.05.08.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458800, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მაია დილევსკაია.

3.3 მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N5-3, სართული 3, ბლოკი 5, ს/კ 01.10.17.002.006.05.05.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458800, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე გურამ ჭოხონელიძე.

3.4 მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-4, სართული 2, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.004 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458847, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე გედეონ სამარგულიანი.

3.5. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სადარბაზო 10, სართული 6, ბინა N10-13, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.10.013 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882018292065, დამოწმების თარიღი 05/04/2018), მესაკუთრე ნინო გურგენიძე.

3.6. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N3-8, სართული 3, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.03.008 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458928, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ეკატერინე სადრაძე.

3.7. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N1-3ა, სართული 2, ბლოკი 1, ს/კ 01.10.17.002.006.01.02.003ა (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458738, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ვასილ ებრალიძე.

3.8 მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N1-3ბ, სართული 2, ბლოკი 1, ს/კ 01.10.17.002.006.01.02.003ბ (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458738, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ვასილ ებრალიძე.

3.9 მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N1-3გ, სართული 2, ბლოკი 1, ს/კ 01.10.17.002.006.01.02.003გ (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458738, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ვასილ ებრალიძე.

3.10. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N3-2, სართული 2, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.03.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458653, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მაია დილევსკაია.

3.11. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N3-3, სართული 2, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.03.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458726, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მარინე ჩიტიაშვილი.

3.12. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N3-4, სართული 2, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.03.004 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458713, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მარინე ჩიტიაშვილი.

3.13. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N3-5, სართული 2, ბლოკი 3, ს/კ 01.10.17.002.006.03.03.005 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458953, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მარინე ჩიტიაშვილი.

3.14. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N6-01, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.06.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458876, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსისი პალასი-2".

3.15. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N6-02, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.06.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458876, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსისი პალასი-2".

3.16. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N6-03, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.06.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458789, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსისი პალასი-2".

3.17. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-5, სართული 3, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.005 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458789, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე გურამ ჭოხონელიძე.

3.18. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N9-01, ბლოკი 6, საკადასტრო კოდი N01.10.17.002.006.04.09.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458909, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ნინო კელაპტრიშვილი.

3.19. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N6-4, სართული 3, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.06.004 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458909, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მაია დილევსკაია.

3.20. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N7-02, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.07.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458607, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2".

3.21. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N7-03, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.07.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458607, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2".

3.22. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N7-04, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.07.004 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458607, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2".

3.23. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N6-1, სართული 2, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.06.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458921, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე გურამ ჭოხონელიძე.

3.24. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N5-2, სართული 2, ბლოკი 5, ს/კ 01.10.17.002.006.05.05.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458687, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსისი პალასი-2".

3.25. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N6-3, სართული 2, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.06.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458854, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე მაია დილევსკაია.

3.26. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N6-2, სართული 2, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.06.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458911, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე გურამ ჭოხონელიძე.

3.27. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-3, სართული 2, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458934, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსისი პალასი-2".

3.28. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N7-01, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.07.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458796, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2".

3.29. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-6, სართული 3, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.006 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458796, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე გურამ ჭოხონელიძე.

3.30. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-2, სართული 2, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458694, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე სტეფანე განჯელაშვილი.

3.31. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N10-02, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.10.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458675, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2".

3.32. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ოფისი N10-01, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.04.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458675, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2".

3.33. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N9-02, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.09.002 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458675, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2".

3.34. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N9-03, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.09.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458675, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2".

3.35. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N10-03, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.10.003 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458839, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2".

3.36. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, სართული 3, ბინა N10-04, ბლოკი 6, ს/კ 01.10.17.002.006.04.10.004 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458839, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე ი.მ.ა „აქსის პალასი-2".

3.37. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N4-1, სართული 2, ბლოკი 4, ს/კ 01.10.17.002.006.06.04.001 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882010458625, დამოწმების თარიღი 28/01/2010), მესაკუთრე სტეფანე განჯელაშვილი.

3.38. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N26, კომერციული ფართი N5-5, სადარბაზო 8, სართული 3, ბლოკი V, ს/კ 01.10.17.002.006.05.05.500 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882020652281, დამოწმების თარიღი 14/09/2020), მესაკუთრე ირაკლი დავითაია.

3.39. მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე, N12, სადარბაზო 2, სართული 19, II ბლოკი, ბინა N2-65, ს/კ 01.10.17.002.022.10.02.065 (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882020652147, დამოწმების თარიღი 14/09/2020), მესაკუთრე ივანე ციმაკურიძე.

4. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნების რეალიზაციით სრულად არ დაკმაყოფილდება ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მოთხოვნა აღსრულება მიექცეს შპს „აქსისის" საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე.

5. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, ირაკლი ქარსელაძის განცხადებით, რიკოთის მაგისტრალის პირველი, 2.5-კილომეტრიანი ორზოლიანი მონაკვეთი შემოდგომაზე გაიხსნება. მისივე თქმით, ეს რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობის პროცესის გარდამტეხი ფაზის პირველი შედეგია. მინისტრმა რიკოთის საუღელტეხილო გზის ხევი-უბისას 12.2 კილომეტრიანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაო დაათვალიერა. ამ მონაკვეთზე პროექტით გათვალისწინებული 20 გვირაბიდან სამუშაო მიმდინარეობს 18 გვირაბზე და გაჭრილია 2 გვირაბი, ხოლო 37 ხიდიდან სამუშაო 27 ხიდზეა დაწყებული, საიდანაც 4 ხიდზე უკვე დასრულდა მალის ნაშენისთვის რკინა-ბეტონის კოჭების დამზადება და მონტაჟი.

ხევი-უბისას მონაკვეთის მშენებლობა აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

◎ ტატამი

ლუხუმს ელირსა...

ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ტატამზე დაბრუნება წარმატებით აღნიშნა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა 60 კილოში ლუხუმ ჩხვიმიანმა, რომელმაც ყაზანში გამართული სალიცენზიო გრანდ სლემი მოიგო და ოლიმპიურ ტოკიოში, სავარაუდოდ, რვა საუკეთესო განთესილს შორის იქნება.

თათრეთში ჩვენმა „ჯილამ“ ზედიზედ სძლია კამერუნელ ცალას (ვაზარით), პორტუგალიელ ლოპესს (იპონით), ჩეხ პულპრაბეკს (ვაზარით) და მასპინძელ აბდულაევს (ვაზარით დამატებით დროში), ფინალში კი, ასევე დამატებით დროში, შებოჭა რუსეთის სახელით მოჭიდავე ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი რობერტ მშვიდობაძე, ვისთანაც აქამდე გამართული ოთხივე ბრძოლა წაგებული ჰქონდა.

◎ ჩემპიონთა ლიგა

ჩვენთვის ასე ძვირფასი...

და მესამე ინგლისური ფინალი

მოგეხსენებათ, გიორგი ქინქლაძემ „მანჩესტერ სიტიში“ მთელი ეპოქა შექმნა, ამიტომ ქართველ გულშემატკივართათვის სულ ერთი სულაც არ არის ამ კლუბის ბედ-იღბალი.

ასეთი შესავლის შემდეგ მაშინდელი „მეინ როუდის“, ხოლო ამჟამად „იტიჰადის“ სტადიონის ბინადრებს მისალოცად აქვთ საქმე – 1970 წლის შემდეგ პირველად, უკვე პეპ გვარდიოლას თავკაცობით, მათი მემკვიდრენი პოპულარული ევროტურნირის, ამჯერად ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშებენ, რომელიც სტამბოლში 29 მაისს გაიმართება.

„სიტი“ ყველაზე პრესტიჟული გათამაშების ისტორიაში 42-ე ფინალისტია, ტრიუმფის შემთხვევაში კი მისი 23-ე გვირგვინოსანი გახდება. საკუთარი პირადი სტატისტიკის გაუმჯობესების შანსი აქვს კატალონიელ მწვრთნელსაც, რომელმაც მწვერვალზე ორჯერ „ბარსელონა“ აიყვანა, მათ შორის უკანასკნელად – 2011 წელს და ოლიმპის დაპყრობას კიდევ ერთხელ ათწლიანი პაუზის შემდეგ შეეცდება.

„სიტი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:0
(პირველი მატჩი – 2:1)

შარშანდელ ფინალისტთა მოსალოდნელ კრახს თითქოს ბუნებაც გლოვობდა – საპასუხო შეხვედრამდე წამოსულმა სეტყვამ მინდორი სპორტის ზამთრის ერთ-ერთი სახეობის სარბიელს დაამსგავსა.

არანაკლებ საგანგაშო ვითარება სუფევდა სტუმართა ბანაკშიც, რადგან ტრავმამ ბრძოლაში ჩაბმის საშუალება არ მისცა კილიან მბაპეს, ქარიზმატული მოიერიშის გარეშე კი მისმა პარტნიორებმა ედერსონის კარისკენ ერთხელაც ვერ გაისროლეს ზუსტად. გამონაკლისს წარმოადგენდა მარკინიოსის თავური, როცა ბურთი ძელს მოხვდა, მაგრამ ასეთი ცდა, როგორც ცნობილია, სტატისტიკურ მონაცემებში არ აისახება.

ყველაფერს წერტილი 70-ე წუთზე დი მარიას მოედნიდან გაძევებამ დაუსვა, თუმცა ამ დროისთვის მაჰრეზის დუბლით, რომელმაც თავი პირველ თამაშშიც გამოიჩინა, ისედაც გარკვეული იყო მთავარი – გვარდიოლამ მჭიდრო პრესინგითა და ელვისებური კონტრშეტევებით ამჯერადაც პირწმინდად მოუგო ტაქტიკური დუელი არგენტინელ კოლეგა პოჩეტინოს.

„ჩელსი“ – „რეალი“ 2:0
(პირველი მატჩი – 1:1)
გოლები: ვერნერი, მაუნტი

მასპინძელთა უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო გახლდათ, ძნელი გამოსაცნობი იყო, რომელ გუნდს უფრო შეეფერებოდა „სამეფო“ თუ „არისტოკრატთა“ სტატუსი.

სხვათა შორის, „ჩელსი“ იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, ვისთანაც ევროპული საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანს აქამდე პოპულარული ტურნირების ეგიდით გამართული ერთი მატჩიც კი არ მოეგო და ნავსი ვერც ამჯერად გატეხა. და ბოლოს: თომას ტუხელი პირველი მწვრთნელია, ვინც ზედიზედ ორ სეზონში ლიგის ფინალში ორი სხვადასხვა გუნდი გაიყვანა.

◎ წილისყრის შემდეგ

ექვსი-უცნობიანი განჭოლება

მართალია, ევრობასკეტ – 2022-მდე წელიწადნახევრამდეა დარჩენილი, მაგრამ ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მომავალ მეტოქეთა სათანადოდ შესაფასებლად, საამისოდ კი, დაგვეთანხმებით, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პაატა გურასპაული, რომელიც საგაისო ფორუმის წილისყრას ბერლინში დაესწრო, მართლაც რომ კვალიფიციური ფიგურაა.

ესპანეთი – მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ბოლო ათწლეულის ევროპის საუკეთესო გუნდია. სასიამოვნოა, რომ ქართველ გულშემატკივარს საშუალება მიეცემა საკუთარი თვალით იხილოს ეს ლეგენდარული ნაკრები. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო ყველასთან მოსაგებად იბრძვის და გამონაკლისი არც ჩვენი ჯგუფისა და მთელი ტურნირის უმთავრესი ფავორიტი იქნება.

რუსეთი – ჩრდილოელი მეზობლები ბედისწერამ გვარგუნა და, ბუნებრივია, მათთანაც გამარჯვებას ვაპირებთ.

თურქეთი – ჩენს მიერ არჩეული პარტნიორი ძალიან სერიოზული გუნდია თავისი ნატურალიზებული ლიდერით შეინ ლარკინით. ის ნებისმიერი ნაკრებისთვის ძლიერი კონკურენტი იქნება და საპირველადგილო ამბიციაც გააჩნია, თანაც – საფუძვლიანი.

ბელგია – მასთან არაერთხელ გვითამაშია და ვიცით, რომ ბოლომდე ომობს, არასოდეს ნებდება, ხოლო რამდენიმე წევრი კონტინენტის ტოპ-კლუბების სპორტულ ღირსებას იცავს. სავსებით ლოგიკურად შეუძლია, მიზნად ჯგუფიდან გასვლა დაისახოს.

ბულგარეთი – თითქოს ყველაზე სუსტია, მაგრამ დასკვნით შესარჩევ ეტაპზე მაღალ დონეზე გამოვიდა და ფინალურ რაუნდს მიღმა თვით ლატვია დატოვა. არა მგონია, ბალკანელები თბილისში სტატისტის როლით დაკმაყოფილდნენ.

და ბოლოს: ვფიქრობ, ქართველ ქომაგთათვის ყველა მატჩი საინტერესო იქნება და წინასწარ გამორიცხულია იმის გამოცნობა, რჩეულთა რომელი კვარტეტი დაიმსახურებს მერვედფინალის საგზურს.

ამასობაში გაირკვა ევროლიგის ნახევარფინალში მისი მოქმედი ჩემპიონის „ჯვაროსანთა“ ლიდერ თორნიკე შენგელიას კლუბ ცსკა-ს მეტოქის ვინაობა. ესაა სტამბოლის „ეფეს პილსენი“, რომელმაც საპლეიოფო რაუნდის დასკვნითი მატჩი მადრიდის „რეალს“ მოუგო – 88:83 და სერიაში 3:2 გაიმარჯვა.

დანარჩენი შედეგები: „ბარსელონა“ – „ზენიტი“ 79:53 (3:2), „მილანი“ – „ბაიერნი“ 92:89 (3:2). ასე რომ, მეორე ნახევარფინალურ წყვილში ერთმანეთს კატალონიური და იტალიური გრანდები შეხვდებიან, ხოლო ოთხთა ფინალს 28-30 მაისს გერმანული ქალაქი კიოლნი უმასპინძლებს.

◎ 64

რჩეული ეტიუდები და პარტიები

გია ნადარეიშვილი და მიხეილ ტალი

თბილისი იყო ტალის ნავსაყუდელი

მიხეილ ტალი (1936-1992). მსოფლიოს VIII ჩემპიონი. მისი თამაშის სტილს უამრავი ეპითეტით ამკობდნენ – ჭადრაკის მოცარტი, ჭადრაკის ჯადოქარი და ა. შ. ზოგიერთმა პროფესიონალმა ირწმუნა მისი მომნუსხავი ძალა. მეტსაც გეტყვით – დოდოსტატმა ბენკომ მასთან თამაშისას შავი სათვალეები გამოიყენა.

გთავაზობთ ტალის ახლო მეგობრის, ბატონ ოთარ გაბელაშვილის მოგონებას: ტალი თვლიდა, რომ ფიშერი ჭადრაკის ფილოსოფოსია. ამას ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ ჰავანაში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისას საბოლოოდ დავრწმუნდიო – ამბობდა იგი. ღამის ბარში სტუმრობისას კინაღამ გაუთვალისწინებელი შემთხვევის მსხვერპლი გავხდი და ბედად გადარჩენილი საავადმყოფოში ტვინის შერყევის დიაგნოზით მომათავსეს. ვწევარ საწოლში გაუნძრევლად და უეცრად მე-7-ე სართულზე ვხედავ კოშკურა ამწის კალათას, რომელშიც ბობი ფიშერი დგას, მიღიმის და ხანმოკლე საუბრის შემდეგ ფიგურებს ალაგებს ჭადრაკის დაფაზე. ამრიგად, დაუპატიჟებელი სტუმარი ასე მეწვია, იხსენებდა ხოლმე მიხეილ ტალი.

ჭადრაკის ჯადოქარი

ქართული საჭადრაკო ეტიუდის მესაძირკვლე

პირველი ქართული საეტიუდო კრებულის ავტორი (1952)

გია ნადარეიშვილი (1921-1990). საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ეტიუდების შედგენაში (1973-74), საერთაშორისო დიდოსტატი (1980) პროფესიით ექიმი გახლდათ. მას შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა მსოფლიოში ცნობილ დიდოსტატებთან, მათ შორის ლეგენდარულ მიხეილ ბოტვინიკთან. სწორედ მისი მხარდაჭერით გამოსცა პოპულარული წიგნი „ეტიუდი დიდოსტატების თვალით“ (1982). გია ნადარეიშვილის ტალანტი ეფუძნება ნათელ და გონებამახვილურ იდეებს, რაც გამიზნულია პრაქტიკოსი მოჭადრაკეებისათვის – ამბობდა მიხეილ ბოტვინიკი.

მოამზადა თამაზ შენგელიამ

I
ტალი – ბოტვინიკი
მოსკოვი – 1960



მოგება

II
გ. ნადარეიშვილი
REVISTA DE SAH
რუმინეთი, 1986



მოგება

1. 35.ᲡC7 ᲡF8 36.ᲚB5 ᲚE6 37.Სe5 ᲚC6 38.Ლa5 ᲡA8 39.Ლd2 ᲡC8 40.Ს3g2 Ლd7 41.h4 Ლg4, 1:0
II 1.Ს3e2 Ს3g2 2.Სe5 h1Ლ 3.Სg3+ Ს3h2 4.Ს3f2 Ლe4 5.Სe3+ Ს3h1 6.Სh3X

შენიშვნა: მ. ტალი მსოფლიო პირველობის მატჩში მ. ბოტვინიკთან საუკეთესოდ მოცემულ პარტიას მიიჩნევდა.

შაშვი და სინათლე

ანზორ ერქომაიშვილის სული

ორმოცი დღე გასულა **ანზორ ერქომაიშვილის** გარდაცვალებიდან.

რა საშინელია სიკვდილი და რა ლამაზი სიტყვაა გარდაცვალება?!

კი არ მოკვდა, გარდაიცვალა!

ეს თუ ვინმეზე ითქმის, ანზორ ერქომაიშვილზე.

და მაინც, „უღვთო იყო მისი სიკვდილი.“

აქ ის „ჩვეულებრივი ლოგიკაც“ ვერ დაგვამშვიდებს, რომლის თანახმადაც, ღმერთსაც კარგი უყვარს და თავისთან უნდა.

* * *

ასეთი კაცი უნდა შემოგვეღობა და, პანდემიის გავლამდე, ახლოს არავინ მიგვეკარებინა, — მითხრა ბატონმა ემზარ კვიტაიშვილმა, როცა კლინიკაში მისი გადაყვანის ამბავი შევატყობინე.

უფრო მწარედ ვერავინ იტყოდა.

სინათლე დღეს საქართველოში ანზორ ერქომაიშვილისგან მოდისო, — ესეც მისი სიტყვებია.

როგორ ჰყვარებია ანზორ ერქომაიშვილი?!

არსებობს კი ვინმე, ვისაც არ უყვარდა?!

თუ არსებობს, უნდა შევიცოდოთ.

* * *

არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ და მოქანდაკე გია ჯაფარიძემ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს უკვე აჩვენეს ანზორ ერქომაიშვილის საფლავის მაკეტი.

ორი გამოჩენილი ხელოვნის ერთობლივი ნამუშევარი მართლაც შთამბეჭდავია.

მთავარ ფიგურად ქცეულა სვეტიცხოვლის დასავლეთი (?) კედლის ჩუქურთმა, რომელიც ერთდროულად განასახიერებს ვაზსაც, სიცოცხლის ხესაც, საგალობელსაც („შენ ხარ ვენახი“)...

ბრინჯაოში ჩამოსხმული ეს მრავალშრიანი ფიგურა დაიდება შავი მარმარილოს ქვაზე, რომელსაც რამდენიმე დონე („საფეხურები“) ექნება.

თქმა არ უნდა, რომ ეს კომპოზიცია ისევე გამოანათებს საბჭოთა ეპოქით დაღდასმულ საფლავთა შორის, როგორც ანზორ ერქომაიშვილი ანათებდა ჩვენს ყოველდღიურობას.

* * *

ლადო ერქომაიშვილის ნაამბობი:

„პირველ მაისს, ანზორის გარდაცვალებიდან ერთი თვის თავზე, ვდგავართ მის სამარესთან. ერთ-ერთ ახლობელს ვუხსნი, თუ როგორი იქნება საფლავი. ისიც ვუთხარი, რომ კომპოზიციაში მგალობელ ჩიტსაც ჩასვამენ, ოღონდ შაშვს და არა ბულბულს. ამის თქმა და უცებ, მოულოდნელად, ზემოდან მოფრინდა შაშვი. დაჯდა ანზორის გულთან, იგალობა და გაფრინდა.“

* * *

ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ეს თვითონ ანზორ ერქომაიშვილი არ იყო — მისი ნათელზე ნათელი სული.

რატომ მაიცდამაინც შაშვი?

ამას ადვილად მივხვდებით, თუ ანზორ ერქომაიშვილის წიგნებს გავიხსენებთ: „შავი შაშვი ჩიოდა“, „ჩემი ბაბუა არტემ ერქომაიშვილი“...

* * *

ერთხელ ვუთხარი, სადღაც წავიკითხე, რომ შაშვი თურმე მხოლოდ საქართველოში გალობს-მეთქი.

მართლაო?! — სახე გაუნათდა.

ესეც დავძინე, ალბათ, ამიტომ წერს შოთა ნიშნიანიძე, — ბულბულს შაშვი მირჩევნიაო. ქვეცნობიერმა ათქმევინა-მეთქი.

და ეს შაშვი, ანზორ ერქომაიშვილის სული, მუდამ უგალობებს თავის სათაყვანებელ სამშობლოს.

იოსებ ჟუმბურიძე

უახლოესი მეგობრები და კოლეგები: გივი აბდუშელიშვილი, გივი აბზიანიძე, ვალერი ასათიანი, ჯემალ ბერიძე, დალი ბოჯგუა, თამაზ გაბუნია, აკაკი გონგლაძე, მანანა გოჩალეიშვილი, ალეკო გოცირიძე, გურამ დიდბარიძე, შოთა დოლონაძე, ნათელა ვასაძე, გივი თალაკვაძე, თემურ თოფურიძე, აბესალომ იმედაშვილი, ედუარდ კანდელაკი, ავთანდილ კანდელაკი, ზურაბ კახნიაშვილი, ვახტანგ კიკნაძე, რესან კონცელიძე, ჯემალ კუხალაშვილი, ნათელა ლაღიძე, ზურაბ ლელაშვილი, ნიკო ლეკიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, ლია ლომიძე, ზურაბ ლომიძე, გივი მაზიაშვილი, მადონა მგელაძე, თენგიზ მამფორია, დავით სალარიძე, ბორის სარალიძე, ვიქტორია სირაძე, დიტო ტყეშელაშვილი, თამაზ ყიფიანი, კოტე შენგელია, გრიგოლ შონია, ვაჟა შუბლაძე, ზაურ ჩიტიძე, მერი წიკლაური, მიშა წულაძე, ოთარ ჭიპაშვილი, ილია ხუციშვილი, ვიოლა ჯაფარიძე, დავით ჯაფარიძე

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით ჭეშმარიტი მამულიშვილის, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ნიჭიერებით, წესიერებით, შრომისმოყვარეობით, უაღრესი წესრიგიანობით, მომთხოვნელობით, პრინციპულობით, გულითადობით და მეგობრობით გამორჩეული პიროვნების

ზაურ მესხიშვილის

გარდაცვალებას და თანავუგრძნობთ მის ძვირფას ოჯახს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

პანაშვიდი 7 V, მისამართი: ი.ნიკოლაძის ქ.№5ა („ფიქრის გორა“).

დაკრძალვა 8 V, 14:00, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.



ჩვენი ბახვა!

ბახვა ჯმუხაძის გახსენება

დიდია ტკივილი, რომელიც ბახვა ჯმუხაძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ მიაყენა მის ოჯახს, მეგობარ-ახლობლებს და ყველას, ვინც კი იცნობდა მას, როგორც უაღრესად ყურადღებიან, მოსიყვარულე პიროვნებას, რომელიც ყველგან და ყოველთვის კაცობის სანიმუშო მაგალითი იყო.

ბახვა სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და თავისი საქმიანობის უდიდესი ნაწილი მიუძღვნა პურპროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე საქმიანობას. მისი სამსახურებრივი აქტივობა განსაკუთრებული, ნაყოფიერი აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე, როცა ქვეყანაში მრავალი სოციალური ხასიათის პრობლემა არსებობდა.

ჩვენი ბახვა გამორჩეულად კარგი თვისებების მქონე მეუღლე, მამა, ბაბუა და მეგობარი იყო, რომლის ხსოვნაც დიდხანს დარჩება მისი ოჯახის, ახლობლებისა და შთამომავლობის მეხსიერებაში.

მეგობრები

შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრის“ რიცხული ავტომობილის რეალიზაციის სააუქციონე პირობები

ქ. თბილის, სპ. კედიას ქ. №7

ორგანიზაციის დასახელება: შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი“ განმეორებით აცხადებს „ცენტრი“-ს ბალანსზე რიცხული ავტომობილის Mercedes-benz, VITO111cdi, WIN: WDF63970513475432,სახელმწიფო ნომ. MM024HH, გამოშვების წელი 2008 აუქციონს შემდეგი პირობებით

აუქციონზე ავტომობილის საწყისი ღირებულება 15120ლარი.

ბიჯი ღირებულების 10% -1512 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის „ბე“-ს თანხა ღირებულების 5%-756 ლ, რომელიც ჩაითვლება გადახდილად.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

„ბე“-ს გადახდის ქვითარი. შემდეგ რეკვიზიტებზე: შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი“; ს.კ. 202059366. ს.ს. საქართველოს ბანკი ა. ა. GE29BG0000000895329300

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

დამატებითი პირობები:

1.ავტომობილის რეალიზაციის შემდგომ მყიდველი თანახმაა თავად აღმოფხვრას ყველა ტექნიკური თუ ვიზუალური ხარვეზი რაც აუქციონის ჩატარებამდე გააჩნდა ავტომობილს.

2. მყიდველი იღებს ვალდებულებას 2021 წლის ბოლომდე, ცენტრის საჭიროების შემთხვევაში, საწვავით უზრუნველყოფის პირობით პერიოდულად გაუწიოს ცენტრს მომსახურეობა შეღავათიანი(სიმბოლური) ტარიფით-წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

3. ავტომობილის გადაფორმების ყველა ხარჯი ეკისრება მყიდველს.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. აუქციონი გაიმართება შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი“-ს შენობაში 2021 წლის 17 მაისს მისამართზე: თბილისი, სპ. კედიას ქ. №7, 2-ე სართული. ტელ: 0322348047.

ქალბატონო ნონა!

ჩვენო ნონა!

გვაქვს პატივი, მოგესალმოთ და მოგილოცოთ დიდი საიუბილეო თარიღი! მოგილოცოთ დიდი პატივისცემითა და განსაკუთრებული — თაობის მეგობრული სიყვარულით!

ეს პატივისცემა და სიყვარული — ერთიანი ეროვნული გამოხატულებაა თქვენი დიდი დამსახურებისათვის და საერთაშორისო მიღწევებისთვის ქართველი ხალხის სასახელოდ.

80

ათეული წლების განმავლობაში შენ გვერდით ვიყავით მთელი ქართველი საზოგადოება, გვიხაროდა და გვეამაყებოდა როგორც მაშინ, ასევე დღესაც — შენთან თანაკლასელობა, ახალგაზრდული მეგობრობაც და შენი საზოგადოებრივი ავტორიტეტი.

ხანდაზმულთა და პენსიონერთა მრავალ ასეული ათასი წევრი, სწორედ რომ უფროსი თაობა ჩვენი საზოგადოებისა, უდიდესი კეთილგანწყობით გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და გახარებას ქვეყანაში მოსალოდნელი კეთილდღეობის მოლოდინში.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის სახელით —
გივი აბდუშელიშვილი, თეიმურაზ ონიანი.

ქართველი მწერალი ფინალშია

ქართველი მწერლის, რეჟისორის და სცენარისტის ნანა ექვთიმიშვილის 2015 წელს გამოცემული რომანი „მსხლების მინდორი“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 2021 წლის ლიტერატურული პრემიის ფინალისტებში მოხვდა.

კონკურსში მონაწილეობას ევროპისა და აზიის 40 ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა. უკვე 4 წელია რაც EBRD-ნათარგმნ ლიტარატურას აჯილდოვებს.

წელს კონკურსს სამი ფინალისტი ჰყავს: **ნანა ექვთიმიშვილი** — საქართველოდან. **შჩეპან ტვარდოხი** პოლონეთიდან და **მათეი ვიშნეკი** რუმინეთიდან. ლიტერატურული ჯილოდ 20 ათასი ევროა. გამარჯვებული 1 ივნისს გახდება ცნობილი. აღსანიშნავია რომ „მსხლების მინდორი“ სწორედ ის რომანია რომლითაც ნანა ექვთიმიშვილი ბეკერის პრემიის 13 რჩეულ ნაწარმოებში მოხვდა.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე —
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ
ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

აშშ-ში შობადობის მაჩვენებელი შემცირდა

აშშ-ში შობადობის მაჩვენებელი ზედიზედ მეექვსე წელია მცირდება. 2020 წელს ქვეყანაში 3,6 მილიონი ბავშვი დაიბადა, რაც 2019 წელთან შედარებით 4%-ით ნაკლებია. 1979 წლიდან ეს წლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ცენტრის თანამშრომლებმა ქვეყნის ზოგადი ნაყოფიერების დონე შეისწავლეს, რომელიც გაჩენილი ბავშვების რაოდენობას შობადობის ასაკში (15-44 წელი) მყოფი ქალების რიცხვს ადარებს. 2020 წელს ეს მაჩვენებელი ასეთი იყო: 56 ბავშვი 1000 ქალზე, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ქვეყნის ისტორიაში. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ შობადობის კლების ტენდენცია მთელ მსოფლიოში აღინიშნება და ვარაუდობენ, რომ პროცესზე გავლენა კორონავირუსის პანდემიამ იქონია.

მალიში ქალმა 9 ტყუპი გააჩინა

მალის რესპუბლიკაში, ქალმა 9 ტყუპი — 5 გოგო და 4 ბიჭი გააჩინა. დედა და ბავშვები თავს კარგად გრძნობენ.

მალის ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, 25 წლის ჰალიმა სისე მშობიარობამდე ორი კვირა ბამაკოს კლინიკაში იმყოფებოდა. შემდეგ კი პრეზიდენტ ბა ნადუს სურვილით, ქალი მაროკოს კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ულტრასონოგრაფიულმა კვლევამ 7 ტყუპის არსებობა დაადასტურა. ბავშვების დაბადების შემდეგ მალის პრეზიდენტმა ექიმებსა და ჰალიმა სისეს მშობიარობის მშვიდობიანად დასრულება მიულოცა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

კოსმოსში დაძველებული ღვინის ბოთლი

Christie's აუქციონზე ფრანგული ღვინის Petrus-ის ბოთლი იყიდება, რომელმაც საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე წელიწადზე მეტი გაატარა.

აუქციონის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ კოლექციონერებმა ერთ ბოთლში შესაძლოა მილიონ დოლარამდე გადაიხადონ. აუქციონიდან მიღებული თანხა კოსმოსში დაძველებული ღვინის შემდგომი კვლევებს მოხმარდება. საუბარი 2000 წლის მოსავლის ფრანგული ღვინის 12 ბოთლიდან ერთზეა, რომლებიც 2019 წელს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე SpaceX-ის რაკეტით გააგზავნეს. ბოთლები სადგურზე 438 დღისა და 19 საათის განმავლობაში ინახებოდა.

უკონტროლო რაკეტა დედამიწას უახლოვდება

პენტაგონის ცნობით, დედამიწას უზარმაზარი რაკეტა უახლოვდება, რომელმაც კონტროლი დაკარგა. უფრო ზუსტად, საუბარია რაკეტის ნაწილზე, რომლითაც ჩინეთმა საკუთარ კოსმოსურ სადგურზე მოდული გაგზავნა. მისი მოძრაობის ტრაექტორია დედამიწის ატმოსფეროსკენაა მიმართული და როგორც სპეციალისტები აცხადებენ, სავარაუდოდ, 8-10 მაისს შემოვა ატმოსფეროში.

4 მაისის მონაცემებით, რაკეტა დედამიწას წრეს ყოველ 90 წუთში არტყამს. მისი სიჩქარე, დაახლოებით, 27 600 კილომეტრ საათია, ხოლო მას დედამიწამდე 300 კილომეტრი სიმაღლეღა აშორებს. სპეციალისტების თქმით, 22 ტონიანი რაკეტის დიდი ნაწილი ატმოსფეროში შემოსვლისას დაიწვება, თუმცა ნაწილი ჩამოვარდება. ჩამოვარდნის სავარაუდო ტერიტორია წყნარი ოკეანე იქნება.

ევროპაში მცხოვრები უდიდესი დათვი მოუკლავთ

გარემოსდამცველები ეჭვობენ, რომ ლიხტენშტეინის პრინცმა, რუმინეთში ნადირობისას, ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრები უდიდესი დათვი მოკლა. როგორც პრინც ემანუელ ფონ უნდ ცუ ლიხტენშტეინს ნება დართეს, მოეკლა 17 წლის ძუ დათვი, რომელმაც ფერმებს გარკვეული ზიანი მიაყენა.



რუმინეთის გარემოს ეროვნული დაცვის საგენტომ ფაქტზე გამოძიება დაიწყო. გასაჯაროებული დოკუმენტით ირკვევა, რომ ხელისუფლებამ ნადირობის ასოციაციას კოვასნეში ნება დართო, პრინცისთვის ნადირობის უფლება მიენიჭებინათ, აქვე აღნიშნულია ტრანსილვანიაში დათვის მოკვლის დეტალებიც.

მოამზადეს
რუსუდან ძოგულიამ და კახა ძორიძემ

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 10 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.4399; ევრო - 4.1334;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.7873;
100 რუბლი - 4.6010; თურქული ლირა - 0.4114;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0217;
1000 სომხური დრამი - 6.6072.

ამინდი 7 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+22
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+9,	დღე	+23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge